# ახალგაზრდა ივერიელი

გაზეთი გამოდის 1921 წლიდან

5 თებერვალი სამშაბათი 1991 № 14 (11647)

ახალგაზრდული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 10 კაპ.


ეროვნული ბიბლიოთეკა

## პრესკონფერენცია საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში









2 თებერვალს გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ზვიად გამსახურდიას პრესკონფერენცია. პრესკონფერენციაზე მიწვეული იყვნენ საქართველოს, საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის ქვეყნების მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლები.

ზოგჯერ გიკვირს კიდეც, მოულოდნელად საიდან დაგვებადა ამდენი კითხვა. ცოტა ხნის წინათ ხომ ისინი საერთოდ არც კი გვქონია და არავის არ დაბადებია სურვილი შეეტყო, რა იქნებოდა. და ეს იმიტომაც, რომ თითოეულმა ჩვენგანმა იცოდა—არაფერი არ მოხდებოდა, უკეთესობისაკენ არაფერი შეიცვლებოდა ჩვენს დაბეჩავებულ ყოფაში. ასე ვიყავით აპათიისა და გულგრილობის მდგომარეობაში, ხმამაღლა ვერ მიგვეკუთვნებინა მისთვის შესაბამისი ეპითეტი.

მაგრამ ამოძრავდა ცხოვრება, აზროვნების დამამძიმებელ ერთმნიშვნელოვნებაში გაჩნდა მაცოცხლებელი ნაკადულები, რომლებიც შემდეგ მძლავრ ნაკადებად იქცა და, ზნეობრივი და ადამიანური განახლების გზას რომ დავადექით, უცებ უამრავი კითხვა დაგვებადა.

ცხადია, კითხვების უკმარისობა არ ყოფილა უზენაეს საბჭოში გამართულ პრესკონფერენციაზე ბატონ ზვიად გამსახურდიასთან. ისინი ისმებოდა ზედიზედ და ეხებოდა ჩვენი ბობოქარი და მოვლენებით აღსავსე ცხოვრების სულ სხვადასხვა მხარეს. სულ რამდენიმე საათით ადრე პრესკონფერენციის დაწყებამდე თბილისსა და სხვა ქალაქებში შეუსვენებლად რეკავდნენ ტელეფონები — ადამიანები ერთმანეთს ეკითხებოდნენ, ქუჩებში სამხედრო პატრულები ხომ არ გამოჩენილანო. გასაგებია, რომ პრესკონფერენციაზე დასმული პირველი კითხვა სწორედ სსრ კავშირის პრეზიდენტის ამ ავადსახსენებელ ბრძანებულებას ეხებოდა. ბატონმა ზვიად გამსახურდიამ განმარტა ეს, უკაცრაული პასუხია, დოკუმენტი, და აღნიშნა, რომ რეაქციული ძალები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა ჩაახშონ ხალხთა მისწრაფება თავისუფლებისა და სუვერენიტეტისადმი. ამას მოწმობს ამბები ბალტიისპირეთში, საბჭოთა კავშირის სხვა რეგიონებში. ცდილობენ რა მოწამლონ ატმოსფერო, ისინი აწყობენ სხვადასხვაგვარ პროვოკაციებს, პრაქტიკულად არაფერს არ ერიდებიან. სარგებლობენ რა შექმნილი რთული მდგომარეობით, დამნაშავეობის სწრაფი ზრდის ფაქტით, წესრიგის დამყარების საბაბით სურთ პრაქტიკულად შემოიღონ სამხედრო წესები. ამას შეიძლება წინ აღვუდგეთ მხოლოდ მთელი ძალების გაერთიანებით, მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთ სიტუაციაშიც კი ბევრ მოღვაწეს არა აქვს მკაფიო ორიენტაცია. თვით ჩვენი თანამემამულეებიც ასხამენ წყალს თავისუფლების მტერთა წისქვილზე, ცილს სწამებენ ჩვენს მაღალ იდეალებს და ამისათვის სარგებლობენ საზღვარგარეთის ქვეყნების რადიოსადგურთა სამსახურით.

შეეხო რა სამაჩაბლოში შექმნილ ვითარებას, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ რეგიონის ამბები იმის პირდაპირი შედეგია, რომ ცენტრს სურს მოახდინოს ვითარების დესტაბილიზაცია საქართველოში, რომლის ხალხი იბრძვის თავისი დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის. ოსი ექსტრემისტები, რომლებიც ცდილობენ საქართველოს მოსწყვიტონ მისი ოდინდელი ტერიტორია, არ განიცდიან იარაღის ნაკლებობას, რომელსაც მათ სამხედროები აწვდიან. რად ღირს მარტო ის ფაქტი, რომ ამ ექსტრემისტთა მეთაურის კულუმბეგოვის შტაბი იყო ცხინვალის ერთ-ერთ სამხედრო ნაწილში. ჩრდილოეთ ოსეთიდან გზავნიან დივერსანტებს, უახლესი სამხედრო აღჭურვილობით შეიარაღებულ სნაიპერებს. ახორციელებენ რა ტერორს ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ, ოსმა ექსტრემისტებმა აუტანელი პირობები შეუქმნეს ჩვენს თანამემამულეებს რეგიონში. ამიტომ ბევრი მათგანი იძულებული გახდა მიეტოვებინა ცხოვრების ადგილები და გამხდარიყო ლტოლვილი საკუთარ სამშობლოში.

შექმნილმა სიტუაციამ საქართველოს შინაგანი ჯარების — ეროვნული გვარდიის შექმნის საჭიროება გვიკარნახა. რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება, რომელმაც მეტისმეტად გაალიზიანა ცენტრი. ეს, კერძოდ, გამოჩნდა გაზეთ „კრასნაია ზვეზდას" პუბლიკაციაში, რომლის ავტორი მიმართვა „ბატონმაც" კი გააცოფა. ამასთან დაკავშირებით გვინდა შევახსენოთ ჩვენს კოლეგას, რომ რუსი ოფიცრები, როცა ერთმანეთს თავის დროზე ასე მიმართავდნენ, რამდენიმე თავით მაღლა იდგნენ ახლანდელ თავიანთ მემკვიდრეებზე კეთილშობილებითაც, განათლებითაც, სამშობლოს ერთგულებითაც, „ამხანაგებმა" კი „სახელი" იმით მოიპოვეს, რომ ზოგიერთებმა მოსპეს მილიონობით სხვა „ამხანაგი" საყოველთაო სიძულვილისა და ეჭვიანობის კოშმარული შენობის აგებისათვის, რითაც შეურაცხყვეს თავისთავად შესანიშნავი სიტყვა „ამხანაგი".

მაგრამ, საბედნიეროდ, არავის არ ძალუძს ადამიანს ჩაუქროს სიმართლის ღვთიური ნაპერწკალი. ამიტომ ახლა სულ უფრო მძლავრობს დემოკრატიული ძალების ხმა თვით რუსეთში, რომლებთანაც, როგორც პრესკონფერენციაზე ბატონმა ზვიად გამსახურდიამ აღნიშნა, მუდამ მჭიდროდ თანამშრომლობდნენ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერები. უფრო მეტიც, ამ მოძრაობის წარმატებები ბევრად არის განპირობებული ამ თანამშრომლობით.

ეს შეხვედრა, რა თქმა უნდა, ვერ ამოწურავდა ჟურნალისტებისათვის და, მაშასადამე, საზოგადოებრიობისათვის საინტერესო ყველა საკითხს, ამიტომ დათქვეს, რომ შესაძლებლობის კვალობაზე, ამგვარ პრესკონფერენციებს რეგულარული ხასიათი მიანიჭონ.

**თენგიზ გრიგალაშვილი,**
**საქინფორმის კორ.**

**პრესკონფერენციაზე ბატონმა ზვიად გამსახურდიამ უპასუხა „ახალგაზრდა ივერიელის" კორესპონდენტის კითხვებსაც:**

— ისტორიულად ასე იყო, რომ საქართველოს სახელმწიფო ხელისუფალნი დახმარებას ევროპის ქვეყნებში ეძიებდნენ და აქვს თუ არა დღეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს ასეთი კონტაქტები და ხომ არაა დაგეგმილი პირადად თქვენი გასვლა უცხოეთში?

**— დაგეგმილი მქონდა რამდენიმე შეხვედრა. მაგალითად, შვეიცარიაში ახლა იმართება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების პოლიტიკური ლიდერებისა და მსოფლიო ეკონომიკის თვალსაჩინო წარმომადგენელთა შეხვედრა, მაგრამ ვერ მოვახერხე წასვლა, რადგან არ ვიცოდი, რა მდგომარეობა იქნებოდა საქართველოში, შესაძლოა აქ ძალადობა დაწყებულიყო, ან კომენდანტის საათი შემოეღოთ. ვერ მივდივარ ამ შეხვედრაზე იმიტომ, რომ აქ ახლა ომის მდგომარეობაა და ამას კრემლი ხელოვნურად ქმნის, რომ ვერსად ვერ წავიდეთ, რომ მხოლოდ შინაური პრობლემებით, მხოლოდ შინაური კონფლიქტების მოგვარებით ვიყოთ დაკავებულნი. ეს კრემლის სპეციალური შეგნებული პოლიტიკაა, მაგრამ ჩვენი საგარეო საქმეთა მინისტრი დადის და ამყარებს კავშირებს. დასავლეთის ბევრი, ძალიან ბევრი ქვეყანა თუ ცალკეული ფირმა გვთავაზობს დახმარებას და ეს ყველაფერი განხორციელდება უახლოეს ხანში.**

— რა ბედი ელით შიდა ქართლიდან ლტოლვილ ქართველებს?

**— შექმნილია ლტოლვილთა დახმარების ფონდი, შტაბები. ყველა ზომას ვღებულობთ, რომ ეს ადამიანები დროზე დაუბრუნდნენ ძველ საცხოვრებელ ადგილს. ყველაფერი ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ მომავალში რამდენად მივაღწევთ ცხინვალში მდგომარეობის სტაბილურობას. ეს ჯერჯერობით ძალზე ძნელია იმიტომ, რომ როგორც უკვე გითხარით, (ერთ-ერთ კითხვაზე პასუხისას ბატონმა ზვიად გამსახურდიამ აღნიშნა, რომ ცხინვალში ქართულ მილიციას პრაქტიკულად ებრძვიან არა იმდენად ოსი ექსტრემისტები, არამედ ებრძვის საბჭოთა არმია — რედ.) ცხინვალში იგივე ხდება, რაც ვილნიუსში და რიგაში. იგივე ძალა იბრძვის აქაც და მისი აღვილად და სწრაფად დამარცხება ძნელია. ეს პოლიტიკური საკითხია და ის ჩვენ საერთაშორისო ასპარეზზე უნდა გავიტანოთ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრობლემა

# როგორ დავუბრუნოთ მიწა გლეხებს?

**საქართველოს** პარლამენტის მიერ გადასაწყვეტ პრობლემათა შორის ერთ-ერთი რთული საკითხი იქნება გლეხობისათვის მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემის საკითხი. მატერიალურ ფასეულობათა ყველა სხვა საშუალებებისაგან განსხვავებით მიწა წარმოადგენს ისეთ რესურსს, რომლის კვლავწარმოება შეუძლებელია. იგი განსაზღვრულია დროსა და სივრცეში. მიწაა საფუძველთა საფუძველი ყველა სხვა სიმდიდრის შექმნისა, ამიტომ მისდამი დამოკიდებულებაში ვერ ვიხელმძღვანელებდით ისეთი მეთოდებით, როგორიც შეგვიძლია გამოვიყენოთ მაგალითად ფაბრიკა-ქარხნების, წვრილი საწარმოების, თუნდაც ავტომობილისა და მაღაზიის განკერძოების შემთხვევაში.

მდგომარეობას ართულებს ისიც რომ გლეხი თვითონაც ვერ გარკვეულა მიწისადმი დამოკიდებულების საკითხში, იგი ორჭოფობს. მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემას გლეხი თითქოს ალტაცებით უნდა ხვდებოდეს. ეს ღონისძიება ხომ გაანთავისუფლებს მას ბრიგადირ-აგრონომ-თავმჯდომარის არც თუ სასიამოვნო მეურვეობისაგან. საშუალება მიეცემა მოხნას ნიადაგი თავის დროზე, დათესოს რაც მოესურვება, ხოლო მოწეული ჭირნახული თავისი შეხედულებისამებრ გაიტანოს ბაზარზე, ან მოიხმაროს სურვილისამებრ: ამრიგად, იგი დაეუფლება არა მარტო მიწას, არამედ შეიძენს პიროვნულ თავისუფლებასაც. მაგრამ იგი მაინც უნდობლად უცქერის აღნიშნულ წინადადებას, რაშია საქმე? იქნებ კომუნისტებმა მართლაც მოახერხეს და 70 წლის მანძილზე ტერორთან შეზავებული სხვადასხვა ანარქიული ღონისძიებებით შექმნეს საბჭოთა კოლმეურნის („სოვეტიკუს აგრარიკუს“) სახით რაღაც ახალი ინდივიდი, რომელმაც უარყო თავისი ბუნებრივი მოთხოვნილებები თავისუფლებისა და კერძო საკუთრებისადმი? არამც და არამც: თუ ღრმად ჩავუკვირდებით გლეხის მიერ საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში გადატანილი ჯოჯოხეთური ტანჯვა-წამების პერიპეტიებს, დავინახავთ, რომ გლეხის ასეთი უნდობლობა გამოწვეულია მთელის რიგი მიზეზებით, რომელთაგან მთავარია შემდეგი:

1. ავადსახსენებელი ტერორისტული რეჟიმი გლეხობის ელიტის, ე. წ. „კულაკების“ და, საერთოდ, პატიოსანი მშრომელი გლეხის მიმართ, რომლის განმავლობაში გლეხობას ჩაუნერგეს პირუტყვული შიში კომუნისტური ხელისუფლების წინაშე. გლეხობის უდიდეს ნაწილს ჯერ კიდევ ვერ დაუჯერებია, რომ შესაძლებელია არაკომუნისტური წყობა და არაკოლექტიური მეურნეობა;

2. გლეხობას არ გააჩნია სამეურნეო მანქანა-იარაღები, რომლითაც შეიძლება დიდი ფართობების ინდივიდუალურად დამუშავება. ამასთან ერთად ბიუროკრატიული აპარატი კვლავაც ყოველი საშუალებით ცდილობს შეაფერხოს გლეხობისათვის კერძო საკუთრებაში ტექნიკის გადაცემა;

3. ვიცით აგრეთვე, რომ 60-იანი წლებიდან ე. წ. „ხრუშჩოვისეული დათბობის“ პერიოდიდან დაიწყო კომუნისტური კორუფციის გაფურჩქვნა როგორც ქალაქად ფაბრიკებსა და ქარხნებში, ასევე სოფლებშიც — კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. თუ სტალინის ეპოქაში გლეხს სიმინდის 2 ტაროს შინ წაღებისათვის (მშიერი ბავშვების გამოსაკვებად) ციმბირში ასახლებდნენ, ამ ეტაპზე უკვე კომუნისტებმა სცადეს საკუთარი ნაშრომის პარვაში დაეხელოვნებინათ იგი. სტალინური რეპრესიებით დემორალიზებული და შიშით დაკომპლექსებული გლეხობის გარკვეული ნაწილი იოლად დაჰყვა გამდიდრების ჟინით შეპყრობილი კომუნისტების „თაოსნობას“ და მათივე სასარგებლოდ ხელი მიჰყო საკუთარი შრომით შექმნილი მატერიალური დოვლათის წვრილმან ქურდობას. ბავშვმაც კი იცის, რომ კოლექტიურ მეურნეობაში დღესდღეობით მოქმედებს თავისებური დაუწერელი კანონი: გლეხებს ეუბნებიან — „უფლებას გაძლევთ, სახლში წაიღოთ ორი ვედრო ყურძენი, მაგრამ თვალები უნდა დახუჭოთ, როდესაც ვიპარავთ შენი შრომით მოწეულ ტონობით პროდუქციას“!.

უნდა ითქვას, რომ ამჟამად პირველი ორი მიზეზის დაძლევა ასე თუ ისე უკვე შესაძლებელია, რადგან საქართველოში შექმნილი ახალი პოლიტიკური სიტუაცია განმუხტავს შიშისა და ურწმუნოების ელემენტებს. გლეხობა მიიღებს სათანადო მანქანა-იარაღებსაც. უფრო ძნელად სამკურნალოა მესამე მიზეზი, რომელიც უნიკალურია მსოფლიოს ისტორიაში. საკუთარი შრომით შექმნილი პროდუქციის მოპარვით მიღებული სიამოვნება ალბათ მეექვსე გრძნობაა, რომლითაც კაცობრიობის საბჭოთა ნაწილი „დაასაჩუქრეს““ კომუნისტებმა.

ასეთი მდგომარეობის დაუყოვნებლივ გამოსწორება საჭირო და აუცილებელია იმიტომაც, რომ თაობიდან თაობაში ეს მავნე სენი სავარაუდოა უფრო და უფრო განმტკიცდეს და გამოუსწორებელი შედეგები მოგვიტანოს. საქმე ეხება ერის ხნეობას, სინდის-ნამუსით განთქმული ქართველი გლეხკაცის ისტორიულ რეპუტაციას.

აღნიშნული სიტუაცია ყოველმხრივ ცხადყოფს, რომ მიწის განკერძოება დღევანდელობის უპირველეს ამოცანას წარმოადგენს.

ჩვენი აზრით, ეს პროცესი უნდა დაიწყოს მთის რეგიონებიდან, საიდანაც თავის დროზე კოლმეურნეობებს გამოექცა მოსახლეობა, ამჟამად ხალხი ნელ-ნელა იწყებს მთებში დაბრუნებას, რადგან იქ სულის შემხუთველი კოლექტივები აღარ ეგულება, ბრუნდებიან მთიელები მშობლიურ ადგილებში, მიუხედავად იმისა, რომ მათი მამა-პაპის ნაფუძარი ბევრგან უკვე მიწასთანაა გასწორებული, ბარის კოლმეურნეობათა ჯოგებისაგან გაპარტახებული და ზედგადავლილი (მოსახლეობისაგან დაცლილ მთის რეგიონებს ხომ ამჟამად საზაფხულო საძოვრებად იყენებენ). ასეთ ადგილებში დაბრუნებულ მოსახლეობას უნდა მიეცეს მიწა, სახნავი თუ სათიბ-საძოვარი, კერძო საკუთრებაში, უნდა განთავისუფლდნენ გადასახადებისაგან, მიეცეთ კრედიტი და მცირე მექანიზაცია მეურნეობის მოსაწყობად.

ბარის რეგიონებში უნდა ჩატარდეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ინვენტარიზაცია დოტაციური მეურნეობების გამოსავლინებლად. ასეთ მეურნეობებშიც დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს მიწის განკერძოება, რადგან საბაზრო ეკონომიკის პირობებში ასეთი მეურნეობები სულერთია, თავისთავად გაკოტრდებიან და მისი წევრები ასეთ შემთხვევაში უფრო უარეს დღეში აღმოჩნდებიან, ვიდრე დღესდღეობით არიან. ხოლო თუ მიწის ნაკვეთებით წინასწარ იქნებიან უზრუნველყოფილი, ბაზრის მოთხოვნილებაზე უფრო მოქნილ რეაქციას მოახდენენ ვიდრე კოლექტიურ მეურნეობებში გაერთიანებულნი.

რაც შეეხება ეკონომიკურად ძლიერ მეურნეობებს, ისინი ჯერჯერობით შეიძლება დარჩეს ძველებურად, მაგრამ აქაც უნდა მოხდეს მიწების დანაწილება წევრებზე, თანაც იმ პირობით, რომ თუ პიროვნება მოისურვებს ინდივიდუალური ფერმის მოწყობას, იგი უფლებამოსილი იქნება მეურნეობიდან გავიდეს თავისი ნაკვეთიანად. მსგავს სიტუაციაში შეიძლება დაშვებული იქნეს ასეთი მეთოდიც: ერთმანეთს შეედარება მოცემული კოლმეურნეობისა და მისგან კერძოდ გასული ფერმერის მიერ წარმოებული პროდუქციის მოსავლიანობის დონე და ამის საფუძველზე დაწესდება ჯილდო, რომელსაც მიიღებს ზედმეტი პროდუქციის მწარმოებელი, ე. ი. კერძო ფერმერი ან კოლმეურნეობა. ასევე გადამეტებით წარმოებული პროდუქცია სახელმწიფომ უნდა შეისყიდოს მაღალ ფასებში. ამავე დროს გამარჯვებული ისარგებლებს წარმოებისათვის საჭირო მანქანა-იარაღების უპირატესი მიღების უფლებით. შეიძლება დაწესდეს მთელი რიგი სხვა პრივილეგიებიც, რაც კონკრეტული სიტუაციის მიხედვით გადაწყდება.

ასეთი მიდგომის ორგანიზაცია ბადებს კითხვას: როგორ გავუნაწილოთ მიწები თანაბრად ორ მეზობელ კოლმეურნეობის წევრებს, რომლებსაც მიწის სხვადასხვა ფართობები გააჩნიათ, ან სხვადასხვა რეგიონის მოსახლეობას, სადაც მიწების ნაყოფიერება სხვადასხვა დონისაა? ჩვენის აზრით, იმისათვის, რომ არ დაირღვეს სოციალური თანასწორობის პრინციპები, საჭიროა შემუშავდეს მიწების კადასტრი და ამის საფუძველზე ყოველი რეგიონისა თუ რაიონის ხელისუფლებამ პარლამენტის კომისიებთან ერთად დაადგინოს გასაცემი მიწის მინიმუმი, ხოლო მიწების ის ფართობები, რომლებიც დარჩება ამ მინიმუმის მიხედვით განაწილების შემდეგ, გადაეცემა ეროვნული ბანკის განკარგულებაში. თავის მხრივ ბანკი მის ხელთ არსებულ მიწებს გასცემს არენდით. თვით ამერიკაშიც კი ფერმერთა დიდი ნაწილი სოფლის მეურნეობის პროდუქციას ქმნის არენდით აღებული მიწითა და ტექნიკით.

რაღა თქმა უნდა, მიწა არენდით უნდა გადაეცეს სათანადო ცოდნის, ჩვევებისა და უნარის მქონე სპეციალისტებსა და პრაქტიკოსებს, რათა ისინი რაციონალურად იყენებდნენ მიწას, რათა არ დაუშვან მიწების გამოფიტვა და გაუარესება. საერთოდ ამ მიმართებით აუცილებელია შეიქმნას ეკოლოგიური ზედამხედველობის ორგანო, რომელიც კონტროლს გაუწევს არა მარტო არენდატორებს, არამედ კერძო პირების საკუთრებაში არსებულ მიწებსაც.

რა თქმა უნდა, ოპონენტები გაგვირისხდებიან და იტყვიან, რომ ჩვენ, განკერძოების მომხრენი ვთამაშობთ გლეხის გულუბრყვილობაზე, ვამძაფრებთ ისედაც არასტაბილურ ეკონომიკურ მდგომარეობას სოფლის მეურნეობაში და ამის საფუძველზე პოლიტიკური კაპიტალის დაგროვებას ვცდილობთ. აგრეთვე იმ არგუმენტსაც დაგვიპირისპირებენ, რომ ამჟამად ქვეყანას არ გააჩნია მცირე მექანიზაციით გლეხობის უზრუნველყოფის საშუალება და სხვა.

ამაზე ჩვენ ვუპასუხებთ, რომ ყველაზე მარტივი გაანგარიშებით საქართველოში აგრომრეწვის მუშაკთა შენახვაზე ყოველწლიურად იხარჯება მილიონობით მანეთი, ხოლო თუ ამას დავუმატებთ მათი ე. წ. „ლევი“ შემოსავლის ოქროს მდინარეებს, ცხადი გახდება, რომ აგრომრეწვის გაუქმებით არა თუ უზრუნველვყოფთ კერძო გლეხობას მცირე მექანიზაციით, არამედ გარკვეულ ფონდსაც კი შევქმნით.

მათთვის ხომ ისიც კარგადაა ცნობილი, რომ გლეხს მთელი წლის განმავლობაში ყურძნის მოყვანაში უხდიან მუშის ერთი თვის ხელფასს — 500-600 მანეთს, ხოლო მისივე გამოზრდილი ძროხის ტყავისაგან დამზადებულ ფეხსაცმელში ძროხის ფასს ახდევინებენ. ასეთ შემთხვევაში, როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია. გლეხს უნდა დაუბრუნდეს მიწა, რათა ადგილი აღარ ჰქონდეს ასეთ დისკრიმინაციას.

ჩვენი ღრმა რწმენით, მხოლოდ ეს ღონისძიება აღადგენს მიწათმოქმედის მიწასთან გასწორებულ რეპუტაციას და ამავე დროს შექმნის პირობებს ქალაქსა და სოფელს შორის მატერიალური დოვლათის თანასწორი გაცვლისათვის.

**ლევან გორთამაშვილი**

პრობლემა

---

**იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა**

# მიმართვა

**საქართველოს არაქართველი მოსახლეობისადმი**

განგაშის ზარები რეკენ საქართველოში. რისხვით მობრუნდა ქართველობაზე წინაპართაგან მადლად გაცემული სიკეთე. ჩრდილოეთიდან ოტებულ ოსთა ტომებს მკვიდრი საძირკველი ჩაადგმევინეს სამაჩაბლოს მიწა-წყალზე, დამშეული დააპურეს, შეციებული გაათბეს, უსასოოს ნუგეში სცეს, მოეფერნენ, მოესიყვარულნენ. თავის სამკვიდრო მიწაზე ახლადჩამოსახლებული უცხოტომელები ძმად გაიხადეს, დაიმოყვრეს კიდეც, ქალიც მიათხოვეს, აქეთაც წამოიყვანეს, ნათელ-მირონიც მრავლად გაიღეს, სანაცვლოც მიიღეს. მაგრამ.:. ჩვენ ფრთებქვეშ დაბუმბლული ხიზნები მომძლავრების ჟამს წამოიშალნენ, წამოიფოფრნენ და როცა მოკეთისა და ძუძუმტის თანადგომა და თანაძმობა გვჭირდებოდა, მაშინ გვიყელთეს, ჩვენ მიწა-წყალს ორივ ხელით წაეპოტინნენ, სამაჩაბლოს აგლეჯა მოუნდომეს დედასაქართველოს მკერდიდან. მწარედ შემცდარხართ, გამთიშველებო! სხვის დაკრულ ფანდურზე ამაოდ როკავთ. მადლობა უფალს, ყველა თქვენსავით უძღები შვილი არ არის, ყველას ეშმაკისეულისათვის როდი მიუყიდია სული. მადლიერი ხიზანიც ბევრი გვყავს, ძნელბედობის ჟამს გვერდში ერთგულ ძმასავით რომ დაგვიდგნენ, თქვენ უბირ საქმეს ისინი სასტიკად გმობენ და ძმობაში ღალატიანთა სახელებს წყევლა-კრულვით იხსენიებენ.

გონს მოდით! შთამომავლობას ნუ მისცემთ თქვენს სახელებს საწყევრად და საძრახისად, ნუ შეგიყენებიათ თქვენი ხალხი მცდარ გზაზე, ისევ იმ ნაგზურზე გადმოდით, რომლითაც საუკუნეების განმავლობაში ჩვენი მამა-პაპანი მოდიოდნენ როგორც ძმები, მეგობრები, ნათესავები. იმ გზით იარეთ, რომელიც აღთქმულ ტაძრამდე მიგვიყვანს, იმ ტაძრამდე, სადაც მომავალში ჩვენი შვილები და შვილიშვილები აღავლენენ კაცთა შორის მშვიდობისა და სიყვარულის სადიდებელს.

თქვენი თანამოძმენი მრავლად სახლობენ მთელს საქართველოში. კახეთში ოსთა კომპაქტურად დასახლებული სოფლებია, ბევრი ოსი ახალგაზრდა დაფრთიანდა თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტში, უმრავლესობა სასახელო პედაგოგია, კარგი ქალია, კარგი კაცია, კარგი დედაა და კარგი მამა, კარგი მეგობარი და კარგი მოყვასია, მათთვის საქართველო ხატივით სალოცავია. ბარაქალა მათ! ალალი იყოს ყველა იმ არაქართველისათვის საქართველოს მკერდიდან ნაწოვი რძე, ვინც მისი ერთგული და მოსიყვარულეა, ვინც მისი დამცველი და პატივისმცემია, ვინც სახელის მადიდებელი და დამფასებელია!

ჩვენს სამკვიდრო მიწაზე მცხოვრებნო არაქართველნო: სომხებო, ოსებო, ქისტებო, აზერბაიჯანელებო, რუსებო, ქურთებო, ბერძნებო, სამშობლო გასაჭირშია! ერთად შემოკრბით, შეერთდით, გვერდში დაგვიდექით, დავიცვათ დედასაქართველო უძღებ შვილთა ხელყოფისაგან.

ახსოვდეს ყველას, მოძმეთა სისხლს ზენაარი არავის აპატიებს!

ღმერთი იყოს საქართველოს მფარველი!

---

# განცხადება

საქართველოს საერთაშორისო ახალგაზრდული ტურიზმის საზოგადოება „თანამგზავრი“ გთავაზობთ საზღვარგარეთ მოგზაურობას:

აპრილში — საფრანგეთი 9 დღით
საგზურის ღირებულებაა 750 ამერიკული დოლარი

მაისში — საფრანგეთი — ესპანეთი — 10 დღით
საგზურის ღირებულება 530 ამერიკული დოლარი

ივლისი — საბერძნეთი 7 დღით
საგზურის ღირებულება 230 ამერიკული დოლარი

სექტემბერი — ამერიკის შეერთებული შტატები — 14 დღით
საგზურის ღირებულება 1700 ამერიკული დოლარი

ოქტომბერი — საფრანგეთი 9 დღით
საგზურის ღირებულება 750 ამერიკული დოლარი

ოქტომბერი — ამერიკის შეერთებული შტატები — 14 დღით
საგზურის ღირებულება 1700 ამერიკული დოლარი

ოქტომბერი — საბერძნეთი 7 დღით
საგზურის ღირებულება 230 ამერიკული დოლარი

ნოემბერი — ჩინეთი 6 დღით
საგზურის ღირებულება 250 ამერიკული დოლარი

დეკემბერი — ჩინეთი 6 დღით
საგზურის ღირებულება 250 ამერიკული დოლარი

საგზურის ღირებულებაში შედის სამვარსკვლავიანი სასტუმროებში ცხოვრების, კვებისა და საექსკურსიო მომსახურების ღირებულება.

დაინტერესებულმა პირებმა და ორგანიზაციებმა უნდა მოგვმართონ მიმდინარე წლის 20 თებერვლამდე მისამართზე: ქ. თბილისი, მაჩაბლის ქ. № 11 საქართველოს საერთაშორისო ახალგაზრდული ტურიზმის საზოგადოება — „თანამგზავრი“

დამატებითი ცნობების მიღება შეგიძლიათ ტელეფონებზე: 99-09-47, 93-66-35.

**საქართველოს საერთაშორისო ახალგაზრდული ტურიზმის საზოგადოება „თანამგზავრი“.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პრეზიდენტი, „შავი პოლკოვნიკები“ და მე-5 კოლონა...

## ანუ ერთხმიანი ტრიო

სულ უფრო და უფრო ვრწმუნდები, რომ მიხეილ გორბაჩოვმა უკვე შეასრულა თავისი ისტორიული მისია. ეს მისია იმაში გამოიხატა, რომ კომუნისტური პარტიის სათავეში მყოფ ბებერ და ავადმყოფ ხელმძღვანელებს შორის და მათ მიერ ლენინ-სტალინისმიერი ტოტალური ტყუილის ქადაგების უკუნეთში — შედარებით ახალგაზრდამ და პირველმა შეძლო დაენახა რეალობა — უკანასკნელი იმპერიის შეუქცევადი ნგრევა, სწრაფად და გაბედულად თქვა უარი არა მხოლოდ ავღანეთსა და აღმოსავლეთ ევროპაზე, არამედ მსოფლიოს სხვა შორეულ კუთხეებშიც საგრძნობლად შეანელა მოსკოვის პროვოკაციული გამოხდომები. მანვე გაბჭვრიტა, რომ შეიარაღების სფეროში შეჯიბრება ახლო მომავალში კრემლს დამარცხებას უქადდა, თუმცა ამის დანახვისათვის მას გონების დიდი დაძაბვა არ დასჭირდებოდა. აქედან გამომდინარე, ბატონმა მიხეილმა შეიარაღებაში უპრეცენდენტო ეპოქალური მნიშვნელობის მქონე შეთანხმებებს მიაღწია ამერიკის შეერთებულ შტატებთან. ვერც იმას უარყოფთ, რომ პარალელურად და შეძლებისდაგვარად მიმდინარეობდა ქვეყნის შიგნით დემოკრატიული გარდაქმნები. მსოფლიოში კომუნისტური სატანის არსებობის პირობებში, პირველად დათბა კიდეც გარკვეულწილად, რამაც გორბაჩოვს არნახული პოპულარობა და ნობელის პრემია მოუტანა.

მაგრამ, რომ იტყვიან ეს „მედლის ერთი მხარეა“, რითაც, როგორც ვთქვით, საბჭოეთის პირველმა პრეზიდენტმა ამით დაასრულა თავისი პროგრესულ-ისტორიული მისია, განურჩევლად იმისა, თუ რას ისახავდა იგი მიზნად. ბატონი მიხეილი აქ გაჩერდა. და თუ დავაკვირდებით ვითარების შემდგომ მსვლელობას, აშკარად და უტყუარად იკითხება „მედლის მეორე მხარე“. ყველაფერი, რაც გაკეთდა — მხოლოდ და მხოლოდ იმპერიის გადასარჩენად. მაგრამ გორბაჩოვმა მოინდომა მარტო გადარჩენილი კი არა, არამედ განმტკიცებული, ძლიერი და ძალად „შეხმატკბილებული“ „მესამე რომი“ იხილოს. მისი მოქმედების შემდგომი დინამიკა: იმპერიული კანონებისა და კონსტიტუციის მიღება; ძალაუფლების განუზომელი უზურპაცია; რაღაც განსაკუთრებულობის პრეტენზიის რეალიზების კულმინაცია, რაც გამოიხატა მსოფლიოში უპრეცენდენტო აქტით, რომლის ერთ-ერთი აბსურდული გამოხატულება სპეციალური კანონის მიღება — პრეზიდენტის შეურაცხყოფისათვის პასუხისმგებლობის შესახებ(?!), თითქოს პრეზიდენტი სსრკ-ს მოქალაქე არ იყოს; მისი შეხმატკბილებული ალიანსი სამხედრო უწყებასთან და სუკთან და სხვა.

განა მისი დამსახურება არ არის ის, რომ უზენაესი საბჭოს ყრილობებსა თუ სესიებზე ნებისმიერი იმპერიული კანონი გარეგნულად მაინც დემოკრატიულად, კენჭისყრის საშუალებით ხდება? მერე რა, რომ ამისათვის წინასწარ იზრუნეს, რათა სახალხო დეპუტატთა უმაღლეს საბჭოს „აგრესიულად მორჩილი უმრავლესობა“ ჰყოლოდა?

„მორჩილი უმრავლესობის“ კომპლექსმა რომ თავისი გამხრწნელი როლი ითამაშა, ეს აშკარად იგრძნობა. მოგეხსენებათ, ზემოდან ყველაფერი გადამდებია. თუ თევზის თავი აყროლდა, კუდის რომელიღაც უკიდურეს ფხასაც კი სუნი უდის. დიახ, დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა: ანალოგიურად მთელი კავშირის მასშტაბით, ყველგან სადაც საბჭოა, თუნდაც ისეთი უწყინარი დაწესებულება როგორიც სამეცნიერო დაწესებულებაა, ვთქვათ, უჭრედულად ყველაზე მცირე — ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭო, რომელსაც კონსერვატორი, პაწაწკინტელა თანამდებობანი უდგას სათავეში. იმთავითვე „აგრესიულად მორჩილი უმრავლესობით“ „აკომპლექტებს“, ძველისაკენ სწრაფვა ბუნებრივია, რადგან სწორედ ტოტალიტარული რეჟიმი აძლევთ მათ გარანტიას განუსაზღვრელი ვადით ისხდნენ თავიანთ მინი-სკამებზე. საკითხთან დაკავშირებული ეს მაგალითი მოვიხმე მხოლოდ იმიტომ, რომ აღვნიშნო, თუ როგორ ავადდებოდა საბჭოთა საზოგადოებრივი ყოფა 74-წლიანი ბატონობის პერიოდში, ლენინიდან — გორბაჩოვამდე.

მაგრამ ისევ დავუბრუნდეთ გეგმის სახით არსებულ იმპერიის გადარჩენის კონცეფციას. ამ გეგმის ღერძი — სამოკავშირეო ხელშეკრულებაა.

ცენტრის მიერ სინამდვილის აშკარა უგულვებელყოფის უტოპიური ზრახვების პრაქტიკაში ძალად დანერგვის ექსცესებმა, ბუნებრივად გამოიწვია კონფლიქტების გაუთავებელი ჯაჭვი მთელ კავშირში. იქნებ მოვლენათა არასასურველმა მსვლელობამ შთააგონა პრეზიდენტი, რომ იმპერიის ცხოვრების ნორმალური რიტმი მხოლოდ სამოკავშირეო ხელშეკრულებით მოხერხდება? რა თქმა უნდა, ესეც არის, მაგრამ მისთვის უფრო მნიშვნელოვანია შორს გამიზნული ზრახვები. კერძოდ, მსოფლიოს კარგად მოეხსენება, რომ სსრკ არის ბოლშევიკ-ავანტურისტთა მიერ ძალად შეკოწიწებული, დაპყრობა-ანექსიის შედეგი. ამიტომ იგი დე იურედ არასოდეს უცვნიათ. მაშასადამე, ბატონ გორბაჩოვს სურს გაცილებით შორს წავიდეს ვიდრე მისი წინამორბედები, მათ შორის თვით ლენინი და სტალინიც კი, და მსოფლიოს წინ დაუდოს დოკუმენტი, რომელიც საბოლოოდ კანონიკურ სახეს მისცემს იმპერიას.

სხვისი — სხვამ, მაგრამ კეისარმა რომ კეისრისა უნდა იცოდეს — ეს ათასგზის განმეორებული ჭეშმარიტებაა. საქართველოს იდეალი ეროვნულად და პიროვნულად თავისუფალი და მდიდარი საქართველოა და ასეთივე რესპუბლიკებთან, მათ შორის რუსეთთან მრავალმხრივი თანამშრომლობაა. ამიტომ ცენტრის მიერ გადმოსროლილი ფუჭი „სუვერენიტეტობის“ ლოზუნგი, რომელიც ზოგიერთმა რესპუბლიკამ აიტაცა კიდეც, საქართველოსათვის კატეგორიულად მიუღებელი აღმოჩნდა. ლამის, ხმარებისაგან გაცვეთა ცენტრმა სიტყვები — „თავისუფლება“, „სუვერენიტეტი“, და რაგინდ მრავალჯერაც უნდა ახსენონ ეს სიტყვები ე. წ. ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულების ტექსტში, ის მაინც რეალურ შინაარსს მოკლებულ სიტყვებად რჩება, რადგან გორბაჩოვმა გაცილებით ადრე, ვიდრე სუვერენომანიის კოზირს გაითამაშებდა — სსრ კავშირის კონსტიტუციის გარკვეული მუხლების მიღებით რესპუბლიკებს არაფერი დაუტოვა. თუმც კი ბევრად სანუგეშო არც სამოკავშირეო ხელშეკრულების ტექსტში სწერია, მაგრამ მისი მიღების შემდეგ — საქართველოს ჯვარი სწერია — და, ვთქვათ, უზბეკეთმა, რომელიც — ოჰ, როდის მოვესწრებითო ამ დღეს, მჯიღს იბრაგუნებს გულზე, — რომ მოსთხოვოს მოსკოვს — აი, ხელშეკრულებაში რა სწერიაო, მე შენ გეტყვი და არ აუფრიალებენ თვალწინ კონსტიტუციას, თუ შერცხვებათ?

აი, აქ საშინაო საქმეებში არის სწორედ გორბაჩოვის ტრაგიზმი, რადგან იგი ვერასოდეს ვერ შეძლებს საშინაო საქმეების მოგვარებას, თუ ასე სასოწარკვეთილი შეუპოვრობით ჩაებღაუჭება იმპერიის შენარჩუნების უკანასკნელ შანსს — სამოკავშირეო ხელშეკრულებას. მისი მუქარა ასეთია: — ვაი იმ რესპუბლიკებს, რომლებიც ამ საქმეში არ უთანაგრძნობენ მას.

როგორც დავინახეთ, თუ მედლის ერთი მხარე, თავისი შედეგით, დიდი ისტორიული პიროვნებების გვერდით აყენებს გორბაჩოვს, მეორე — პირიქით, უფსკრულისაკენ ექაჩება მას.

პრეზიდენტი აქ, შინ, ვერ ფარავს საკუთარ თავს, ხშირად აშკარად წარუმატებელია მისი მცდელობა აიფაროს გულუბრყვილობის ნიღაბი. რა გვრჩება ხელთ? დავუკვირდეთ უმაღლესი საბჭოს 15 იანვრის სესიაზე გორბაჩოვის წინააღმდეგობებით აღსავსე სიტყვას. პრეზიდენტისათვის, უკაცრაული პასუხია, შიგადაშიგ ზედმეტად ემოციურ, ნერვიულ ტონს ნაცმენთა მიმართ. რომ შეერბილებინა, ან უფრო სწორად, სხვა მშვიდ დინებაში გადაეტანა იმპერიის მიერ ლიტვაში ჩადენილი ვანდალური აქტი და ამით სამხედრო მანქანას აფარებოდა, გაიხსენა სტავროპოლის ოლქი, რომ იქ მაშინ და ახლაც ყველგან ცხოვრება დუღდა და დუღს, რომ ყველაფერი მასში ერთმანეთთანაა დაკავშირებული და ტრიალებს. ამ ტრიალში მან სამხედროები ჩვეულებრივ ცხოვრებისეულ რიტმში უწყინარ და აუცილებელ კონტექსტში მოიხსენია. მე არ შევუდგები იმის განმარტებას, თუ რატომ დასჭირდა ბატონ პრეზიდენტს სამხედროთა მორიგი ცოფიანი ბოროტება მოჩვენებითი, უწყინარი მელოდიებით გაამკრთალოს, გააბუნდოვნოს. მაგრამ ერთი კი უნდა აღვნიშნო, მისი გამოსვლის ამ პასაჟს საოცარი მიზანდასახულობითი მსგავსება ჰქონდა ამავე სესიის შესვენებაზე, ერთ-ერთი პოლკოვნიკის ინტერვიუს ჟურნალისტებთან. „შავი პოლკოვნიკის“, პეტრუშენკოს ისტორიული და მკაცრი პასუხებიდან მსმენელს, ბუნებრივია, შეექმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ინტერვიუერი იმპერიულ ამბიციებს შესაბრალისად გამოუთაყვანებია, ზნეობრივად და კულტურულად, განათლებაზე რომ არაფერი ვთქვათ, მთლად ფსკერზე დაუწნეხია. მე, პირადად, ამ მხრივ, ცხადია, გარკვეული რაკურსით, თვალწინ წარმომიდგა რუსი ოფიცერი უკვდავი ილიას „მგზავრის წერილებიდან“; ოფიცერი, რომლის „სახის მეტყველება ამჟღავნებდა, რომ ღვინოსა და არაყს ძალიან დაახლოებით იცნობდა“. თუ საკითხი მიდგა დიალექტიკაზე, რომელიც ფორმის სახით, ასე მოუხერხებლად მოარგო პრეზიდენტმა ვრცელი გამოსვლის ზემოხმობილ პასაჟს, უნდა ვაღიარო, რომ ხსენებული „შავი პოლკოვნიკი“ მართლაც რომ დიალექტიკური პერსონაა თავის პროტოტიპისა, ოღონდ განვითარება ულმერთოდ შეხებია სიჩლუნგესა და სიბრმავეს. პოლკოვნიკი, ზემოდან განწირულის სახით უბღვერს ჟურნალისტებს: — რატომ გიკვირთ ხოცვა-ჟლეტა ლიტვაში, მაშინ, როცა ეს ისრაელების მიერ ჩვეულებრივი მოვლენაა პალესტინელების მიმართო... ბრავო, ოფიცრობას!

ტოტალური ტყუილი, დისჰარმონია, საზოგადოებრივი ყოფის ყოველ სფეროში — ნეობოლშევიკური საშინაო პოლიტიკის უცილობელი ატრიბუტებია. ავიღოთ თუნდაც ჟურნალისტიკის სფერო — ცენტრალური პრესის, რადიოსა და ტელევიზიის დეზინფორმაციული განცხადებები, უკბილო პროპაგანდის ნიმუშები. ჯერ იყო და ვილნიუსში — თითქოსდა ლიტველების მიერ ზურგში სროლით მოკლული ჯარისკაცი გაიხადეს ერთ-ერთ საბაბად მშვიდობიანი მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტის გასამართლებლად. მაგრამ, როცა ექსპერტმა სამხედრო წარმომადგენელთა თანდასწრებით დაამტკიცა, რომ იგი მოკლულია იმ ფეთქებადი ტყვიით, რომელიც მხოლოდ სამხედროებს აქვთ, იმწუთშივე შეიცვალა აგიტაციის ტონი... რომ თითქოს ასეთი ჯარისკაცი საერთოდ არ არსებობს საბჭოთა არმიაში. ერთი სიტყვით, ენას ძვალი არა აქვს.

ვუთანაგრძნობ მოსკოველ კოლეგებს, რომელთა უმრავლესობას არც კომპეტენტურობა აკლია, არც ორიგინალურობა და არც ნიჭი და უნარი, მაგრამ ასეთ „დელიკატურ“ საკითხებს არ ანდობენ. ამიტომ, ლოგიკურია დავასკვნათ, რომ სამხედროების ეს პროსტიტუციული რევერანსი — ერთი და იგივე ფაქტის ორივე საპირისპირო პოლუსის თავის სასარგებლოდ გამოყენება — მთელი ხალხებისა და საერთოდ ზოგადსაკაცობრიო იდეალების აბუჩად აგდებაა.

„წესრიგის დამყარების“ საბაბით იმპერიული ურჩხული ყველგან, სადაც ეკითხება თუ არ ეკითხება — ცხვირს ჰყოფს. ცენტრისათვის წესრიგი არის იქ, სადაც არის ნეოკოლონიალური მორჩილება. სხვა მხრივ, მისთვის ხარ ექსტრემისტი, სეპარატისტი, ანტიინტერნაციონალისტი... რა თქმა უნდა, ვერ მექნება ორიგინალობის პრეტენზია, თუ ვიტყვი, რომ იმპერია ყველასათვის ერთნაირად დამღუპველია: — რუსებისათვის და ქართველებისათვის, ლიტველებისა და უკრაინელებისათვის, აზერბაიჯანელებისა და უზბეკებისათვის და ა. შ. აი, ეს არ უნდათ გაიგონ **ზემოთ.** სამწუხაროდ, პრეზიდენტისა და სამხედრო უწყებათა აგრესიული ალიანსი ერთნაირი სუსხიანი მეთოდებით ეპყრობა ზვიად გამსახურდიას, ვიტაუტას ლანდსბერგისს და საერთოდ, თავიანთი ხალხების ღირსეულ შვილებს, რომლებიც ეროვნული თავისუფლებისათვის იბრძვიან. რუსებისათვის ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი ფიგურა დღეისათვის ბორის ელცინი გახლავთ.

ერთ გარემოებაზეც მინდა მკითხველის ყურადღება შევაჩერო. ბორის ელცინსა და მიხეილ გორბაჩოვს შორის ყოველთვის იყო უთანხმოება, მაგრამ პრეზიდენტი მასთან, გარეგნულად მაინც, კოლეგიალურ დიალოგს არჩევდა. ამ ბოლო დროს დანგრევის პირას მისული, მაგრამ მაინც უზარმაზარი იმპერიის ხელმძღვანელს, ნერვებმა უმტყუნა და სახალხო დეპუტატების უმაღლესი საბჭოს სესიაზეც კი, მილიონობით ტელემაყურებლის წინაშე, ელცინი უდიერ კონტექსტში მოიხსენია. ყველასათვის ნათელია, რომ პრეზიდენტი წონასწორობიდან გამოიყვანა ელცინის არაორდინალურმა ქმედებამ ბალტიისპირა ქვეყნებში. მან ხომ სამართლიანად მოუწოდა იქ მცხოვრებ თანამემამულეებსა და რუს ჯარისკაცებს, რომ არ წამოგებოდნენ ცენტრის ანკესს და არ უბრძოლათ მკვიდრი მოსახლეობის ნების გამომხატველი კანონიერად არჩეული ხელისუფლების წინააღმდეგ. ელცინი და ყველა მოაზროვნე, ჭეშმარიტად დემოკრატი რუსებისათვის, ნათელია, რომ კრემლმა საყოველთაო მტრობისა და სიძულვილისათვის გასწირა სხვა რესპუბლიკებში ჩასახლებული რუსები ჯერ კიდევ მაშინ, როცა მათ მე-5 კოლონის ფუნქცია დააკისრა.

დიახ, კოლონისტები ცენტრის იმპერიული ამბიციების მსხვერპლნი არიან, ისინი კრემლს ბრმა იარაღად სჭირდება. საჭიროა ელემენტარული განსჯის უნარი, ეს დაინახო თუნდაც იმით, რომ „ჯიუტი“ რესპუბლიკებისათვის გამოწერილი ერთ-ერთი „რეცეპტი“ — ეკონომიკური ბლოკადა — განა ერთნაირად არ აზარალებს დამხვდურსა და მოსულს? გარდა ამისა, ისინი ხომ სახელს უტეხენ თვით ისტორიულ სამშობლოში მცხოვრებ რუს ხალხს? ეს არ შეიძლება არ დაინახონ რუსი ხალხის ჭეშმარიტმა შვილებმა. ლიტვის ამბებმა ელცინი დაარწმუნა, რომ სუვერენიტეტის დაცვა შეუძლებელია ეროვნული საჯარისო ფორმირებების გარეშე. და განაცხადა კიდეც ამის შესახებ. სამაგიეროდ, რა მიიღო მან? — აქაოდა, მე-5 კოლონას მიბუნტებსო, — განრისხდა ბატონი პრეზიდენტი, მას წამსვე შეუერთდნენ „შავი პოლკოვნიკები“. — რად უნდა რუსეთის ფედერაციას ჯარი, აგერ არ ვართო? და ელცინს „ბრძოვინი“ ადინეს. მოუწყვეს ჩაწყობილი დემონსტრაცია, რომელზედაც სუკის აგენტები ისტერიულად აყვირდნენ — ელცინი გადადგესო... სამხედროები და კომპანია თავის ხალხს სიძულვილის უფსკრულისაკენ მიაქანებენ. რესპუბლიკებში მათ უპირისპირებენ მკვიდრ მოსახლეობას. წარამარა გაისმის სამხედროების განსახლების შესახებ, რაც რუსების მხრივ ეთნიკურ ანექსიასა და ცენტრისათვის მეხუთე კოლონის ბაზის განმტკიცებას გულისხმობს. ყურებს ჭრის სამხედროების სოციალური დაცვის საბაბით დაჟინებული მოთხოვნა იმისა, რომ რესპუბლიკებმა სასწრაფოდ დააკმაყოფილონ ისინი ჩაწერითა და ბინებით, მაშინ როცა მკვიდრი მშრომელები ათწლეულობით დგანან ბინის მიღების აღრიცხვაზე. დგანან და ელიან — როდის აშენდება მათთვის სახლები. ბატონმა პრეზიდენტმა და სამხედრო უწყებამ ცოტა მაინც რომ შეამცირონ სამხედრო ხარჯები, ნაკლები რაოდენობით რომ დაამზადონ ატომური ბომბები და გამოთავისუფლებული სახსრებით გასანადგურებლის კი არა, ხაარსებო საშუალებებს მიხედონ, მაშინ სამხედროებიც და სამოქალაქოც შვებით ამოისუნთქავდა.

ბატონ პრეზიდენტს არ სურს დაინახოს, რომ ისტორიას ჩაბარდა აწ უკვე გაკოტრებული კომუნისტური იმპერიის იდეა. არადა, კრემლი ამ იდეით ცდილობდა პეტრე დიდის ოდინდელი ოცნების — მსოფლიო დაპყრობის — ასრულებას. რაკიღა მსოფლიო ბატონობა აუხდენელ მირაჟად იქცა და მხოლოდღა კოლონიების შენარჩუნებაზე მიდგა საქმე, პერესტროიკის პერიოდში ოკუპირებული ტერიტორიების ძალად შენარჩუნებით კომუნისტური მეთოდი შეიცვალა რუსი და რუსულენოვანი მოსახლეობის **დაცვის** მეთოდით.

კაცობრიობამ იცის და აფასებს კიდეც ათასწლეულების სიძველეში გამოტარებულ გენს, მაგრამ ეს, ცალკეული გამონაკლისების გარდა, არ გაუხდია ერების დაყოფა — დახარისხების მოტივად. ერები, განურჩევლად კულტურულ-ისტორიული, ტერიტორიული, თუ რაოდენობრივი სიდიდისა, დაახლოებით თანაბარნი და ერთნაირად პატივსაცემნი არიან. მაშ, რა უპირატესობას ანიჭებს იმპერია კოლონიებში წინასწარგანზრახვით გარეკილ, თუ განსახლებულ რუსებსა და მათთან მიტმასნილ რუსულენოვან მოსახლეობას? ვთქვათ, კულტურულ-ისტორიულს, სიძველის ატრიბუტს, მაგრამ ასეთი რამ რომ არ გააჩნიათ, ეს თავადაც კარგად მოეხსენებათ. სამაგიეროდ ცენტრი მათ სიამაყეს კვებავს სხვისი ტერიტორიების მიტაცების იმპერიული ამბიციებით, ყველაფრისმცოდნეობის პრეტენზიებითა და ცრუ დაპირებების ლოზუნგთა ბანგით. სინამდვილეში კი, ისინი კრემლმა ულვთოდ გასწირა ცენტრისტული მიზნების განხორციელებისათვის. და თუ დროზე გონს არ მოეგნენ, საყოველთაო სიძულვილს დაიმსახურებენ. ამ თვალსაზრისით ე. წ. მე-5 კოლონის კომპლექსი რუსი ადამიანებისათვის არა მხოლოდ საძრახისია, არამედ ტრაგიკულიც.

აბა გავხედოთ: — იმპერია ბობოქრობს, ყალყზე დგას, კოლონიებში დაწყებულია ბორკილების მსხვრევა. ამ დროს ოკუპირებული ტერიტორიების რუსი მოსახლეობა ან სულ დუმს (საქართველოში) ან ბარიკადების საპირისპირო მხარეს დგანან და კრემლის ტანკებს მიჰყვებიან მკვიდრი ხალხების წინააღმდეგ (ბალტიისპირა ქვეყნებში). ეს ხომ მზაკვრობაა, ბოროტებაა?!

არა პირადად ჩემი, არამედ მთელი ხალხების განწყობის ლოგიკიდან გამომდინარე, შეიძლება გამოვიტანოთ სრულიად ობიექტური დასკვნა: თუ ასე გაგრძელდა — პრეზიდენტი, „შავი პოლკოვნიკები“ და მე-5 კოლონა ულვთოდ გაიწირებიან. ჩვენ ისღა დაგვრჩენია, ვისურვოთ: უფალო, იხსენ უიმედოდ განწირულნი. თუმცა ჯერ კიდევ არის ერთადერთი გზა ხსნისა. ოღონდაც, აუცილებელია გათავისუფლდნენ: — პრეზიდენტი — მემარჯვენეობის უფსკრულისაგან; „შავი პოლკოვნიკები“ — იმპერიული ბოდვებისაგან; ხოლო რაც შეეხება მე-5 კოლონას, ან მხარში უნდა ამოუდგნენ რესპუბლიკებს თავისუფლებისათვის ბრძოლაში, ან დაუბრუნდნენ თავიანთ დაცარიელებულსა და ბევრგან გაპარტახებულს, მაგრამ მაინც ლამაზსა და მიმზიდველ სამშობლოს და ააღორძინონ ის. სხვა ალტერნატივა არ არსებობს, სხვა გზა უფსკრულისკენ მიდის.

**ზურაბ მინაშვილი,**

**ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის უფროსი მეცნიერ მუშაკი, ფილოლოგიის მეცნ. კანდიდატი.**

ვიცოდეთ ჩვენი ისტორია

## წერილი მერვე



### ნაწილი პირველი

შიდა ქართლის ეთნიკური ისტორიისა და გეოგრაფიის შესწავლისათვის საჭიროა გაირკვეს წანარების ეთნიკური კუთვნილების საკითხი.

საისტორიო წყაროების მონაცემების მიხედვით, წანართა ტომის საძმოსახლო ადგილად ცენტრალური კავკასიონი, დარიალის ხეობის რაიონია მიჩნეული.

VIII-X სს-ში არაბული წყაროების „სანარია" ანუ წანარეთი და ქართული წყაროების „კახეთი" თითქმის ფარავენ ერთმანეთს.

მეცნიერებაში არაა ერთსულოვნება წანარების ეთნიკური კუთვნილების შესახებ.

30-იან წლებში ა. გენკომ წამოაყენა წანარების ვეინახური წარმოშობის იდეა. ა. გენკოს ნაშრომში ყოველგვარი მტკიცების გარეშე საქართველოს სამხედრო გზის გასწვრივ მცხოვრებ მოსახლეობაზე ლაპარაკია, როგორც ვეინახური მოდგმის ხალხებზე. თავის დროზე ვ. დონდუამ მკაცრად გააკრიტიკა ა. გენკოს დასახელებული წერილი.

ვ. მინორსკიმ ა. გენკოზე დაყრდნობით წანარები გამოაცხადა ვეინახებად. ასევე ა. მიკირტუმოვი ა. გენკოზე მითითებით წანარებს, გარდაბნელებსა და თუშებს აცხადებს ვეინახურ ტომებად.

სულ უკანასკნელ ხანს წარმოიშვა წანარების ზანური ანუ ჭანურ-მეგრული წარმოშობის თვალსაზრისი. თ. პაპუაშვილი, უკეთებს რა ანალიზს XIII ს. სომეხი ისტორიკოსის ვარდან დიდის ცნობას წანარების შესახებ, მიდის დასკვნამდე, რომ „წანი" იყო ერთ-ერთი ტომთაგანი ჭანურ-მეგრული განშტოებისა.

ასეთი დასკვნის გამოტანას ეწინააღმდეგება ვარდან დიდის თხზულების ჩვენთვის საინტერესო ნაწყვეტში დარღვეული ისტორიული და ქრონოლოგიური პერსპექტივა.

თავის დროზე ნ. მარმა და შემდეგ ს. კაკაბაძემ სცადეს ეთნონიმი „წანარი" სვანურის საფუძველზე აეხსნათ და წანარები სვანურ ტომად მიეჩნიათ. მოსაზრება ქართული სამყაროსადმი წანართა ეთნიკური კუთვნილების შესახებ უსაფუძვლო არ ჩანს. მას მხარს უჭერს ჩვენ მიერ მოპოვებული მასალა.

ხევში, სადაც ადრე შუასაუკუნეებში უნდა ეცხოვრათ წანარებს, „წან" ფუძის შემცველი ტოპონიმები გამქრალია (თუ არ მივიღებთ მხედველობაში მის ფონეტიკურ შესატყვისებს).

თანამედროვე სვანეთის ტერიტორიაზე მსგავსი ფუძის შემცველი ტოპონიმები დადასტურებული გვაქვს: სოფ. წანაში, უღელტეხილი წანერი, მთა წანერი (მულახის თემი), მთა წანარი (კალას თემი), საძოვარი წანი (ლახამულას თემი), სათიბი წარანი (ცხუმარის თემი). შესაძლოა ამ უკანასკნელი ტოპონიმის ამოსავალი ფორმა იყო წანარი და წარან — ფორმა მიღებულია რ-ნ მეტათეზისის შედეგად.

ამ ტოპონიმებსა და ეთნონიმ „წანარ"-ში ფუძეა „წან",-შ ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია, ხოლო არ//ერ მრ. რიცხვის მაწარმოებლები. „წანი" („წაანი") სვანურში დღესაც ხმარებული სიტყვაა. ქვემო სვანურში (სოფ. წანაში) მას აქვს მოგლეჯილი ბალახის [illegible]ვნელობა („მოგლეჯილი ბალახი, ფუთამდე რაც ხელში დაგვ[illegible]ვა"). უშგულში იგი აღნიშნავს ბალახის სახეობასაც და ზოგ[illegible] ბალახსაც. იქვე მწვანე ფერის [illegible]სანიშნავად ხმარობენ გამოთქმას „ბალახი ფერიშ" და „წანი ფერ[illegible]". მესტიაში „წან"-ს უწოდებენ გამომარგლულ ბალახს. ბალსქვემოურ სვანურში მისი სახელწოდებაა „ნაწან", რაც „წან"-ის მიმღეობის ფორმაა. მ. ქალდანის ცნობითაც წანი (წაანი) მოგლეჯილ ბალახს აღნიშნავს. ტოპონიმებში „წანაში" და „წანერი" ფუძეს აქვს ბალახის (მდელოს) მნიშვნელობა.

მცენარეულობისა და, კერძოდ, ბალახების სახელებისაგან რომ იწარმოება ტოპონიმები, ეს ცნობილი ფაქტია (მეჯუდა, ტყვარჩელი, საძიგური, ალავერდი, საღანძილე, ცანა...). ასევე შესაძლოა, რომ მცენარის (კერძოდ ბალახის, საძოვრის) სახელისაგან ეწარმოებინათ ეთნონიმი. ასეთი ეთნონიმი, დასაშვებია, იყოს ისეთ ტომთან მიმართებაში, რომელიც ცხოვრობს ალპური საძოვრების ზონაში და და მისი მთავარი საქმიანობა მესაქონლეობაა. საინტერესოა, რომ ი. დეშერიევი ეთნონიმს „ბაცბი"

# შიდა ქართლი

## ეთნიკური გეოგრაფია

უკავშირებს ინგუშურში ბალახის აღმნიშვნელ სიტყვას.

მინდვრებისა და ტყეებისაგან ნაწარმოები ჩანს ეთნონიმები „პოლოვცი", „პოლიაკი", „პოლიანე", „დრევლიანე".

საინტერესოა, რომ აფხაზეთის მთიან ნაწილში, ალპური საძოვრების ზონაში, მათ შორის თანამედროვე სვანეთის მოსაზღვრე ტერიტორიაზეც, გავრცელებულია ქვის მშრალი წყობით ნაშენი ერთ მეტრამდე სიმაღლის მქონე ნაგებობები, რომლებიც წრიული ან წრესთან მიახლოებული ოთხკუთხედის ფორმის დაბალ-ავე კედლითაა შემოზღუდული. ეს ნაგებობები სამეურნეო ხასიათისაა და გამოიყენებოდა ალპური მესაქონლეობისათვის. მათი აფხაზური სახელწოდებაა „წანიგუარა"//„აწანგვარა" და ხალხური გადმოცემების საფუძველზე გაიაზრება, როგორც აქ აფხაზებამდე მოსახლე წანების ტომის სადგომები (ნ. მარი, ს. ჯანაშია).

საყურადღებოა, რომ შიდა ქართლის მთიანეთში, ლიახვსა და არაგვს შორის მოქცეულ ალპურ მდელოებზეც ვხვდებით მსგავს ნაგებობებს, რომლებსაც გვიანდელ ხანაში მხოლოდ კულტის ობიექტების ფუნქცია შემორჩენიათ.

სვანები სვანეთს ეძახიან „შვან"-ს ხევში დღესაც არის სოფელი „სნო". მის ჩრდილო-აღმოსავლეთით არის ხევი და მთა „შანო". თრუსოელი ოსები ყაზბეგსა და, საერთოდ ხევს (მოხევეებს) ეძახიან „შანა"-ს, ხოლო ინგუშები მოხევეებს ეძახიან „შუან"-ს. 1959 წ. თ. უთურგაიძემ ინგუშეთისა და არხოტის საზღვარზე დაადასტურა მთის სახელწოდება „შაუანე", რომლის ძირას ინგუშეთის მხარეს მდებარე ხეობას ჰქვია „შვან ჰოჭ" (შვანის ხეობა). მას აქვს ოსური სახელიც „შან დონ" (შანის წყალი).

წანართა ეთნოგენეზის კვლევასთან დაკავშირებით მკვლევარი ნ. ვოლკოვა ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ეთნონიმი „წანარი" უმთავრესად გავრცელებულია ცენტრალური კავკასიის ეთნონიმიკაში და ტოპონიმიკაში. მას მოჰყავს ი. კლაპროტის ცნობა იმის [illegible], რომ ოსები მოხევეებს [illegible]", ხოლო დარი[illegible] შორის მდებარე [illegible] „[illegible]ენა"-ს სახელწო[illegible] აღნიშნავს. 1970 წელს [illegible] ოსების სოფელ კობ[illegible] ტოპონიმი „სოენა", [illegible] ყაზბე[illegible] სახელწოდე[illegible] დაკავშირებით ნ. ვოლკოვა მიუთითებს აგრეთვე ყაბარდოულ სიტყვა „სონე"-ზე, [illegible] სვანების ეთნიკურ სახელწოდებას და აგრეთვე მთელ იმ მოსახლეობას, რომელიც ცხოვრობს ჯვრის უღელტეხილის სამხრეთით. მკვლევარი უშვებს შესაძლებლობას, რომ ოსურ და ყაბარდოულ ენებში დღემდე შემონახული ტოპონიმი „სოენა" და ეთნონიმი „სონე" დაკავშირებულ იქნეს ანტიკურ და ადრეშუასაუკუნეების ხანის წყაროებში მოხსენებულ „სანარ-წანარ"-ებთან.

თანამედროვე სვანეთსა და დარიალის ხეობაში ორმხრივ ტოპონიმიკურ შეხვედრებს მხარს უჭერს ისტორიული პერსპექტივა.

კლავდიოს პტოლემაიოსთან სანარიელები (რომლებშიც ვარაუდობენ წანარებს) დასახელებული არიან ჰენიოხებთან, სვან-კოლხებთან და ალბანელებთან მეზობლობაში.

ზემოთქმულთან დაკავშირებით გვახსენდება ლეონტი მროველის სიტყვები, რომლებიც ძვ.წ. II ს. ეხება: „მაშინ ამან საურმაგ წარმოიყვანა იგინი ყოველთა კავკასის ნათესავთა ნახევარნი, და რომელნიმე მათგანნი წარჩინებულ ყვნა, და სხუანი დასხნა მთიულეთს, დიდოეთითგან ვიდრე ეგრისამდე, რომელ არს სუანეთი" (ქცა, I, 27).

მატიანის ამ ადგილს ჩვენთვის ის მნიშვნელობა აქვს, რომ ჯერ კიდევ ლეონტის დროს დაცული ყოფილა ცნობა სვანთა გაცილებით აღმოსავლეთით განსახლების შესახებ, ვიდრე თანამედროვე ეთნოგრაფიული სვანეთია. ყოველ შემთხვევაში, სვანებს (ქართველ მთიელებს) აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთშიც უნდა ეცხოვრათ. თანამედროვე რაჭის ტერიტორიაზე სვანთა განსახლებაზე მიუთითებს ტოპონიმები და 1503 წლის „წიგნი სასისხლო საქმისა ბელას ზემო სვანეთსა და თავად ჯაფარიძეთა შორის".

კლავდიოს პტოლემაიოსი მდინარე თერგს უწოდებს „სოანს". იბნ-ალ-ფაკიხის (903 წ.) გამომცემელი, იქ სადაც ლაპარაკია წანარების (სანარების) შესახებ, ორ ადგილას იძლევა წყაროების ვარიანტების ჩვენებას, სადაც ის სანარია-ს გვერდით მოხსენებულია ას — სუნნარია.

X ს. სომეხი ისტორიკოსი უხტანესი წანარების ქვეშ გულისხმობს კახელებს. ის აღნიშნავს, რომ ქართველები სხვადასხვა ადგილებში ჩამოყალიბდნენ მნიშვნელოვან ხალხად აფხაზების სახელით და აგრეთვე განაპირა ადგილებში, სახელდობრ წანარების, ჯავახებისა და თრელების (ე. ი. თრიალეთელების) სახელწოდებით.

XIII ს. სომეხი ისტორიკოსი ვარდან დიდი, რომელიც ეყრდნობოდა წინა პერიოდის ისტორიკოსებს, წერდა: „რადგანაც წანარები ლაპარაკობდნენ ქართულად, ამიტომ გარდაბანის მთავარმა მათთვის მოიწვია ქორეპისკოპოსი".

XI ს. არაბულ ანონიმურ ისტორიაში ტარიხ ბაბ ალ-აბვაბში ვკითხულობთ: „ქართველები (820 წ.) აუჯანყდნენ ხალიდ იბნ იაზიდს; იგი გაემართა მათ წინააღმდეგ და იბრძოდა წანარებთან".

წანარების სვანებთან ურთიერთმიმართების შესახებ საინტერესოა ჟან შარდენის ცნობა. იგი აღნიშნავს, რომ უძველესი ისტორიების მიხედვით სვანებს ერქვათ წანები („წანიენს").

ყურადსაღებია ზაქარია ფალიაშვილის დაკვირვება სვანური და ქართლ-კახური სიმღერების დიდი მსგავსების შესახებ.

ნ. მაისურაძემ დაამტკიცა მოხევური სიმღერების გენეტიკური კავშირი სვანურ სიმღერებთან (სხვათაშორის მუსიკალური ენა სალაპარაკო ენაზე უფრო კონსერვატიული და მდგრადია).

როგორც მოტანილმა მასალებმა გვაჩვენა, წანარები გენეტიკურად უნდა ყოფილიყვნენ სვანური წარმოშობის ტომი, მაგრამ შუა საუკუნეებში ისინი ძლიერ ქართიზებულნი არიან.

შიდა ქართლის მოსახლეობა უძველესი დროიდან ქართველური იყო. ამაზე მიუთითებს ქართული წარმოშობის ტოპონიმები და ქართულ-ზანურ-სვანური ტოპონიმიკური შეხვედრები (ზანური მეგრულ-ჭანური ენების ზოგადი სახელია). საუკუნეთა მანძილზე მთიდან ბარში ეთნიკური გადაჯგუფების პროცესმა მოსახლეობის შემადგენლობას გარკვეული კვალი დააჩნია.

შიდა ქართლის ზოგიერთ ტოპონიმს აქვს ქართულ-ზანურ-სვანური ან ქართულ-ზანური პარალელური ფორმები.

დადიანეთში არის ტოპონიმი „ცხრაძმითი" (მთა). მის მახლობლად მთიან გვერდს ეწოდება „ჩხორეთი" („ჩხორო" მეგრ. ცხრა).

ტოპონიმში „კუცხოეთი" (ჭურთის ხეობა) ჭანური „კუცხ" (ღვიძება) ჩანს, „კორაში" ჭანური „კორ" (შეკვრა), ხოლო „საძეგურში" — ქართული „სა" პრეფიქსით გაფორმებული მეგრული „ძეგირი", რაც ქართული ეკალ-ღიჭის შესატყვისია.

ქარჩოხის ციხეს ადგილობრივი მოსახლეობა ცხმორის ან ცხმურის ციხეს უწოდებს. „ცხმორი" შესაძლებელია გაჩენილიყოო კავკასიური რცხილას მეგრული სახელიდან „ცხიმური" შემდეგი გზით: ცხიმური -ცხმური - ცხმორი. საინტერესოა, რომ რაჭაშიც არის სოფელი სახელწოდებით „ცხმორი".

ლეხურის ხეობაში არის სოფელი წიფორი, რომლის სახელწოდება უნდა უკავშირდებოდეს „წიფურ"-ს, რაც მეგრულად წიფელს ნიშნავს. ასევე მდინარის სახელწოდება „მეჯუდაში" შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს ზანური სახელი „მეჯუდი" („მაჯუდი")

მდ. მტკვრის სახელწოდების ახსნას ს. ჯიქია ცდილობს ზანურის ნიადაგზე და უკავშირებს მეგრულ სიტყვა „ტკვარუა"-ს („ღრონა") და მისგან ნაწარმოებ „ტკვარილი"-ს („დაღრონილი ადგილი").

საინტერესოა ჭურთისხევის სოფლის სახელწოდება „ჩხუნეთი". მეგრულად „ჩხუ" ნიშნავს ძროხას. სოფელ ჩხუნეთის გვერდით მინდორს ჰქვია საძროხილი.

პატარა ლიახვის ხეობის ზოგი ტოპონიმიც შეიძლება აიხსნას ზანურის ნიადაგზე. პატარა ლიახვს მარჯვნიდან გერის ხევი ერთვის, რომლის სათავეშიც არის ქართლში განთქმული გერის სალოცავი. აქ სალოცავად მოსული მოსახლეობა ხატს საქონლის მფარველობას და მგლებისაგან თავდაცვას სთხოვდა. „გერი" მეგრულად მგელს ნიშნავს და შესანიშნავად უდგება სალოცავის შინაარს. გერი და ლომისა შესაძლოა საერთო წარმოშობისანი გამოდგნენ, თუ ლომისაში სვანურ ლომ//ლემ-ს დავინახავთ, რომლის თაყვანისცემამაც ვ. ბარდაველიძის აზრით გენეტიკურად მგლის (ძაღლის) კულტამდე მიდის.

მეგრულის ნიადაგზე იხსნება დიდი ლიახვის სათავეებში სბის ხევისა და უღელტეხილის სახელწოდება, რომელიც ვახუშტი ბაგრატიონთან „ბჟის" სახით არის წარმოდგენილი და მეგრულად მზეს და რძეს ნიშნავს. ასევე მეგრულით შეიძლება აიხსნას ტოპონიმი „ჯავა". ჯა მეგრულად ნიშნავს ხეს, ხოლო — ვა სუფიქსია (ანალოგიისათვის აფხაზეთის ლიძავა, ლიჯავა).

კლავდიოს პტოლემაიოსთან არმაზციხის სახელწოდება დაცულია „არმაკტიკა" — „არმასიკა"-ს სახით, რომლის მეორე ნაწილში მკვლევარები ხედავენ ქართული „ციხის" მეგრულ-ჭანურ შესატყვისს „ჯიხას" (ს. კაკაბაძე, გ. მელიქიშვილი).

სვანური წარმოშობისა ჩანს სახელწოდება „ისროლი", სადაც ფუძეა „ისრ", რაც სვანურად ისლს ნიშნავს და „ფაჩური" და „ლაფაჩი, რომელთა ფუძე „ფაჩ" სვანურად ცაცხვის სახელია. ლაფაჩი ქართულად ითარგმნება, როგორც საცაცხვე.

სვანურის ნიადაგზე შეიძლება აიხსნას „კოჯორი". თბილისთან მდებარე კოჯრის გარდა არის მეორე ტოპონიმი კოჯორი — დიდი ლიახვის სათავეებში ერთ-ერთი მთის სახელწოდება (როკის ხეობა). „კოჯ" სვანურად ნიშნავს კლდეს, ხოლო ორ-სუფიქსია, რაც უნდა იყოს ექვივალენტი სვანურში მრავლობითი რიცხვის მწარმოებელი არ-ერ სუფიქსებისა.

საინტერესოა ტოპონიმი „საცხუმეთი", რომელიც VII ს-ის სომხური გეოგრაფიის მიხედვით პატარა ლიახვის თემს მიეკუთვნებოდა. ეს სახელი ასე იშლება: სა-ცხუმ-ეთ-ი, სადაც „ცხუმ" ფუძეა, ხოლო სა-ეთ ადგილის სახელწოდების ქართული მწარმოებლები. „ცხუმ" სვანურად რცხილას ნიშნავს. სვანური ფუძე ქართული მწარმოებლებით გაფორმდა. საცხუმეთის ოლქის ბოლოში გვაქვს ტოპონიმი ცხინვალი (ქრცხილვანი). ამ სახელის ქართულ რცხილადან წარმოშობა ეჭვს არ იწვევს. მაშასადამე, გვაქვს ერთმანეთის გვერდით არსებული ერთი და იმავე შინაარსის ქართული და სვანური ტოპონიმები.

ქართულ-სვანურის მიხედვით ჩანს ნაწარმოები ტოპონიმი ლარგვისი. მისი ძველი ფორმაა „ლარგუ". ლარგვისის ჩრდილო-აღმოსავლეთით მთიან ფერდს ეწოდება „ლაგური", რომელიც იშლება: ლა-გურ, სადაც „ლა" სვანური პრეფიქსია, ხოლო „გურ" სვანურად ნიშნავს შუა ადგილს. ასეთი მნიშვნელობა უდგება ლარგვისის მდებარეობას, რომელიც სამი ხეობის შესაყარშია. მაშ გვაქვს ლაგურ>ლარგუ>ლარგუისი, ე. ი. ადგილი აქვს მეტათეზისს გ-რ და ქართული „ის" სუფიქსის დართვას.

უაღრესად საინტერესო მასალას იძლევა არაგვის ხეობის ტოპონიმია. შევჩერდებით მხოლოდ ზოგ ტოპონიმზე. მთიულეთ-გუდამაყარში საძოვარსა და მთას „ოზანო" ეწოდება, ო არის ქართული სა-პრეფიქსის ზანური შესატყვისი. მაშასადამე, „ოზანო" ნიშნავს „საზანოს".

ლეონტი მროველი ქართლის უძველესი ისტორიის თხრობისას ასახელებს ტოპონიმს „ზანავი", როგორც წყაროს მდ. არაგვზე და მცხეთის ერთ-ერთ უბანს (ქცა, I, 16, 17).

მთიულეთ-გუდამაყარში მთებსა და საძოვრებს ჰქვია „სონთი" („სონთა"), „სონთიახთი". თუ გავიხსენებთ, რომ მთიულური კილოსათვის დამახასიათებელია ვა კომპლექსის შეცვლა ო-თი, მაშინ აღნიშნულ ტოპონიმებში ადვილად შევნიშნავთ სვანთა ტომობრივ სახელწოდებას.

საყურადღებოა ფშავის არაგვის სოფლის სახელი ლახატო, რადგან ლა პრეფიქსს სა-ს ფუნქცია აქვს, ამიტომ ჩვენთვის საინტერესო სოფლის სახელწოდება უნდა ნიშნავდეს „სახატეს".

არაგვის მარცხენა სანაპიროზეა სოფლები ნოჯა და ნოჯიკეთი. ნოჯა მეგრულად ჩირგვებს, ე. ი. გაკაფულ ტყეს ნიშნავს. ზანურის ნიადაგზე შეიძლება აიხსნას თიანეთის სოფლის სახელწოდება „ცხვინჯეთი", რომელსაც ვახუშტის სოფელთა სიაში ვხვდებით. „ცხვინჯი" არის ჭანურ-მეგრული „ჩხვინდის" (ცხვირი) არქაული ზანური ვარიანტი, რომელსაც დღეს ჭანურსა და მეგრულში ვეღარ ვპოულობთ (ა. ჩიქობავა).

საინტერესოა დიღომთან სალოცავის სახელწოდება „ონადირე", რაც მეგრულად სანადირეს ნიშნავს.

ზანურ-სვანური იერის მქონე ტოპონიმების რიცხვი შეიძლება შესამჩნევად გადიდდეს როგორც შიდა ქართლის, ასევე კახეთის ტერიტორიიდან. მრავალთაგან კიდევ ერთ ტოპონიმს დავასახელებთ. კახეთში მდებარეობს სოფ. ჯიმითი, რომელიც იხსენიება 1393 წლის ერთ შეწირულობის წიგნში. 1579 წლის შეწირულობის განახლების წიგნში სოფ. ჯიმითის ერთ-ერთ საზღვრად მოხსენიებულია „ძმაურა". მეგრული „ჯიმა" ქართული „ძმა" („ძმის") შესატყვისია. როგორც ვხედავთ, გვაქვს ერთი და იმავე მნიშვნელობის ორი სხვადასხვა ფუძით გაფორმებული ტოპონიმები.

არაა სავალდებულო, რომ ზანურისა და სვანური იერის მატარებელი ყველა ტოპონიმი ზანებისა და სვანების შემოქმედების ნაყოფი იყოს. შესაძლოა, რომ ზოგი ფუძე და პრეფიქსული წარმოება, რომელიც დღემდე დაცულია ამ ენებში, ძველად საერთო ქართველურის კუთვნილებას წარმოადგენდა.

ოდესღაც ქართულში ლა და ლე პრეფიქსები ტოპონიმებს აწარმოებდნენ იმავე წესით, როგორც ეს დღესაა შემორჩენილი სვანურსა და მეგრულში.

თუ უფრო ადრეული ხანიდან არა, ბრინჯაოს ხანიდან მაინც, დასავლეთ საქართველოსა და შიდა ქართლის მოსახლეობა, არქეოლოგიურ კულტურათა მიხედვით, კულტურულ-ეთნიკურად მჭიდროდაა დაკავშირებული (ბ. კუფტინი, ი. გაგოშიძე).

მატერიალური კულტურის მსგავსებასთან ერთად, ზემოაღნიშნული ქართულ-ზანურ-სვანური ტოპონიმიკური შეხვედრები მხარს უჭერენ სიტყვათა წარმოქმნის საფუძველზე მიღებულ დასკვნას (გ. კლიმოვი) უძველესი ქართველური ტომების კავკასიონზე ლოკალიზაციის შესახებ.

შესაძლებელია შიდა ქართლი მიმდებარე მხარეებით — არგვეთი, სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი, კუხეთი წარმოადგენდეს იმ ტერიტორიის ნაწილს, სადაც მოხდა წინარე ქართველური ენის დაშლა ქართულ, სვანურ და ზანურ ენებად.

მოკლედ შევეხოთ დვალების საკითხს.

დვალთა ეთნიკური კუთვნილებისა და განსახლების საკითხით დაინტერესებულია მკვლევართა არაერთი თაობა. ამ საკითხის გადაჭრაში ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ვ. გამრეკელმა. თავისი უკანასკნელი თვალსაზრისი დვალების შესახებ მკვლევარმა ჩამოაყალიბა ქართული ენციკლოპედიის მე-3 ტომში მოთავსებულ სტატიაში „დვალები".

მასში ვკითხულობთ: „დვალები — იბერიულ-კავკასიური ტომი ძველ საქართველოში, ანტიკურ წყაროებში (პლინიუს უფროსი, პტოლემე) პირველად მოხსენიებული არიან ა. წ. I-II სს-ში თალის, ვალის, უალის სახელწოდებით. სახლობდნენ ცენტრალური კავკასიონის მაღალმთიან ზოლში — დარიალის ხეობისა და მამისონის უღელტეხილს შორის — ისტორიულ დვალეთში. მეცნიერები დვალურ ენას აკავშირებენ (ინგუშურ-ჩაჩნურ) და ქართველურ (ზანურ) ენებთან. დვალები ადრინდელ შუა საუკუნეებშივე მოექცნენ ერთიან ქართულ კულტურულ-პოლიტიკურ გარემოში. VI საუკუნიდან დვალეთში ქართველი მისიონერები ქრისტიანობას ავრცელებდნენ. ჩრდილო კავკასიაში მონღოლთა შემოსევების (XIII ს.) შედეგად კავკასიონის მთიან ზოლში დაიწყო მიგრაციის პროცესი; დვალეთში სახლდებოდა ოსური მოსახლეობა, დვალები კი კავკასიონის სამხრეთ კალთებზე გადმოდიოდნენ. XVIII ს. დასაწყისისათვის დვალების ასიმილაციის პროცესი დასრულდა. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი შეერწყა ქართლის, რაჭისა და იმერეთის მოსახლეობას, დვალეთში დარჩენილი ნაწილი კი — ოს მოახალშენეებს".

უცხოური და ქართული წერილობითი ისტორიული წყაროები XVIII საუკუნემდე მკვეთრად ანსხვავებენ, ერთის მხრით, დვალებსა და დვალეთს (დვალების ქვეყანას) და, მეორეს მხრით, ოვსებს და ოვსეთს (ოვსთა ქვეყანას).

ინტერესს იწვევს ეთნონიმი „მაღრან — დვალნი" და ტოპონიმი „მაღრანდვალეთი". ნიშანდობლივია, რომ ისინი „ძეგლი ერისთავთაში" გაჩნდნენ XIV საუკუნის ამბებთან დაკავშირებით. აქამდე ეს ტერმინები ქართულ ისტორიულ წყაროებში არ გვხვდება. ისინი უნდა გაჩენილიყო მას შემდეგ, რაც მონღოლთაგან დევნილი ოსები შედიან კავკასიონის მთებში, მათ შორის, ისტორიულ დვალეთში, ხოლო ოსთაგან შევიწროებული დვალთა ნაწილი გადმოდის ლიახვსა და რაჭაში.

მაღრანი მომდინარეობს სიტყვისაგან „მაღნარი", რაც ქართულადვე ნიშნავს „ტყიანს" (ადგილი აქვს მეტათეზისს — ნ—რ). ამგვარად, მაღრან — დვალეთი სხვა არაფერია, თუ არა „ტყიანი დვალეთი".

ლიახვის აუზის შუასაუკუნეების ტოპონიმია ძირითადად ქართულია. ზოგი ტოპონიმი იხსნება სვანურისა და მეგრულის ნიადაგზე, რაც მიუთითებს მდ. ლიახვის აუზში ქართველური ტომების უძველეს განსახლებაზე.

ჩვენი აზრით, ვ. გამრეკელის უკანასკნელი თვალსაზრისი დვალებზე, როგორც ერთ-ერთ ზანურ (მეგრულ) ტომზე, ძალიან ახლოსაა ჭეშმარიტებასთან. ამას მხარს უჭერს ლიახვის სათავეებისა და ისტორიული დვალეთის ტოპონიმია და დვალების ისტორიულ ქვეყანაში გავრცელებული გვიანბრინჯაოს არქეოლოგიური კულტურის ე. წ. ყობანური კულტურის გენეტიკური სიახლოვე კოლხურ კულტურასთან, ყობანური კულტურის სამხრეთ კავკასიური ფესვები.

დვალების ზანური წარმომავლობის თვალსაზრისს ამაგრებს ის მდიდარი ონომასტიკური მასალა (გვარ-სახელები), რომელიც რ. თოფჩიშვილს გააჩნია.

ზოგადად ასე წარმოგვიდგება ქართველური ტომების უძველესი ეთნოკულტურული ისტორიის საერთო სურათი: **ძვ. წ. V-IV ათასწლეულებში შიდა ქართლსა და მის მიმდებარე რეგიონებში გავრცელებულია წინარე ქართველური ენა. ძვ. წ. III ათასწლეულში მას გამოეყოფა სვანური ენობრივი პლასტი, რომელზეც მოლაპარაკე ტომები გავრცელდებიან ცენტრალურ კავკასიონსა და დასავლეთ საქართველოში. ძვ. წ. II ათასწლეულში ქართულ-ზანურ ენობრივი ერთობის მქონე ტომებს გამოეყოფა ზანური პლასტი, რომლის მატარებელი ტომები ვრცელდებიან დასავლეთ, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსა და ისტორიულ დვალეთში.**

არაა გამორიცხული ქართველური ტომების გავრცელების დაშვება ისტორიული საქართველოს უფრო სამხრეთითაც, საიდანაც ხდებოდა მათი მასების უფრო ჩრდილოეთით გადანაცვლება (გავიხსენოთ „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ს არიან-ქართველთა მიგრირება ქართლში).

თუ გამოვრიცხავთ შეხედულების შესაძლებლობას, რომ დვალები წარმოშობით იყვნენ ერთ-ერთი ქართველური ტომი, მაშინ მივალთ დასკვნამდე, რომ ლიახვის აუზის დვალებამდელი მოსახლეობა იყო ქართული.

**ჯონდო გვახალია**

ვიცოდეთ ჩვენი ისტორია

## განცხადებები

### საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის მთავარი კომიტეტის განცხადება

1991 წლის 21 და 22 თებერვალს საქართველოს დედაქალაქში, ფილარმონიის დიდ დარბაზში გაიმართება საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის მესამე კონგრესი. კონგრესი მუშაობას დაიწყებს დილის 10 საათზე. თბილისის, მცხეთის, ახალგორის, გორის, ხაშურის, თეთრიწყაროს, გარდაბნის, რუსთავის, საგარეჯოს, გურჯაანის, თელავის, ლაგოდეხის, სიღნაღის, წითელწყაროს, ქუთაისის, ბაღდათის, ვანის, წყალტუბოს, ტყიბულის, თერჯოლის, ზესტაფონის, ხარაგაულის, ჭიათურის, საჩხერის, მარტვილის, ზუგდიდის, ჯვრის, გალის, სოხუმის, ოზურგეთის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, ქობულეთის, ბათუმისა და ფოთის ორგანიზაციები გამოცხადდნენ ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის კონგრესზე პარტიის წევრთა, კანდიდატთა და მოკავშირეთა სრული შემადგენლობით.

### საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია-ეროვნული კავშირის მიმართვა

იმასთან დაკავშირებით, რომ 1991 წლის 23 თებერვალს, შაბათს, საქართველოს დედაქალაქში ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის წინ ეწყობა საპროტესტო აქცია საქართველოს ტერიტორიიდან საოკუპაციო ჯარების დაუყოვნებელი გასვლის მოთხოვნით. საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია-ეროვნული კავშირი მოუწოდებს მთელ ქართველ ერს დამპყრობლის წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლის დროს უაღრესად და უკიდურესად მშვიდობიანი ფორმების დაცვისაკენ. ნებისმიერი პიროვნება, ორგანიზაცია და მოქალაქეთა ჯგუფი, რომელიც სამხედრო პირებსა და ობიექტებზე განახორციელებს შეიარაღებულ ან არაშეიარაღებულ თავდასხმას გამოცხადდება პროვოკატორად, ერის მტრად და მოღალატედ, ასევე ერის მტრად და მოღალატედ გამოცხადდება ნებისმიერი პირი ვინც იარაღით მოვა აქციაზე ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის წინ.

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია-ეროვნული კავშირი შეახსენებს ქართველ ერს, რომ კრემლის იმპერიასთან და მის დასაყრდენ შეიარაღებულ ძალებთან დაპირისპირება უნდა იყოს უკომპრომისო და შეურიგებელი, მაგრამ მკაცრად განსაზღვრული მშვიდობიანი და არაშეიარაღებული ბრძოლის სტრატეგიაზე დაფუძნებული. ჩვენი იარაღი ჩვენი სიტყვა და სიმართლეა!

**ირაკლი წერეთელი**

### იმპერიის მოდერნიზება გრძელდება

მაღალი რანგის ზოგიერთი ჩინოვნიკი თუ 9 აპრილის შემდეგ რიტორიკულად სვამდა შეკითხვას: „ვინ დააკისრა არმიას მისთვის უჩვეულო ფუნქცია", დღეს უკვე მისი ეს „ფუნქცია" აღარავის უკვირს. სამხედრო ნაწილების „უჩვეულო ამპლუა" სახელმწიფო დონეზე კანონდება.

1991 წლის 1 თებერვლიდან სსრკ და მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში მილიციასთან ერთად პატრულირებას მოახდენენ სამხედრო არმიის ნაწილები. ყოველივე ეს კანონდება პრეზიდენტის ბრძანებით და „მოსახლეობის სახელით".

საინტერესოა, ვინ არის ეს მოსახლეობა?!

თბილისის მოსახლეობა, რომელსაც 9 აპრილის ჰრილობები ჯერაც არ შეხორცებია?!

თბილისის მოსახლეობა, ქიმიური გაზებით მოწამლული ჩვენი შვილები, რომლებიც სასიკვდილო სარეცელზე იტანჯებიან?! ამ ბრძანების ამოქმედება ქართველი კაცისთვის იქნება მორიგი ფსიქოლოგიური დარტყმა.

გავუძლებთ კი?!

ქართველი კაცი, რომელიც 9 აპრილს ტანკებს შიშველი ხელებით ებრძოდა, დღეს ვეღარ შეეგუება რუსთაველის გამზირზე ტანკების გრუხუნს.

რუსთაველი საქართველოს სასიცოცხლო არტერიაა!

რუსთაველზე დახეხილი ხეები დღესაც იცრემლებიან!

**საქართველოს [illegible] კავშირის თბილისის [illegible]**

### საქართველოს მთიელთა კავშირის განცხადება

15 იანვარს ჩატარდა საქართველოს მთიელთა პოლიტიკური კავშირის ყრილობა, რომელმაც განიხილა ძირითადად საორგანიზაციო საკითხები. ყრილობამ დაადგინა, რომ მთიელთა პოლიტიკური კავშირი გამოსულია საქართველოს ეროვნული ერთიანობის პარტიისა და საქართველოს მთიელთა პოლიტიკური კავშირის საარჩევნო ბლოკიდან. ყრილობის დადგენილებით საქართველოს მთიელთა პოლიტიკურ კავშირს ეწოდა საქართველოს მთიელთა კავშირი. ყრილობამ აირჩია გამგეობა 11 წევრის შემადგენლობით. გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულია დავით ქადაგიძე — თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური კათედრის წევრი, თბილისის სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტის უცხო ენათა კათედრის გამგე

**ვალერიან სულაკაური**

### ახალგაზრდა პარლამენტართა სკოლა — პოლიტოლოგიური ცოდნის მნიშვნელოვანი რგოლი

ჩვენს საზოგადოებაში უკანასკნელ ხანებში გაშლილმა დემოკრატიზაციის პროცესებმა, პოლიტიკური პლურალიზმის დამკვიდრებამ საზოგადოებრივი აქტივობის არნახული ზრდა გამოიწვია. ბოლო ეღება მასების ინდიფერენტულობას. დღეს ქვეყნის საშინაო, თუ საგარეო პოლიტიკის საჭირბოროტო საკითხებზე მსჯელობს დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი. რიგით ადამიანებს, პირველად უკანასკნელი შვიდი ათეული წლის მანძილზე, მიეცა შესაძლებლობა აქტიური მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებაში გავლენა მოახდინონ დიდმნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაზე.

ამ გარემოებამ ჩვენს წინაშე მთელი სიმწვავით წამოჭრა საზოგადოების ფართო ფენების პოლიტიკური განათლების, პოლიტიკური კულტურის მკვეთრი ამაღლების ამოცანა, რაც თავის მხრივ, დღის წესრიგში აყენებს ამ მიზნისათვის სპეციალური დაწესებულებების შექმნის საკითხსაც.

ქართული პოლიტიკური მეცნიერების განვითარება დიდი ხნის განმავლობაში ხელოვნურად ფერხდებოდა. საზოგადოებრივ მეცნიერებათა უმთავრესი დანიშნულება იყო არსებული ხელისუფლების ხოტბა-დიდება, მისი კანონიერების დასაბუთება. ამის შედეგად საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრების ობიექტური კვლევა შეუძლებელი შეიქმნა. მისი ადგილი დაიკავა სქოლასტიკამ, დოგმატიზმმა, რუტინამ.

ყოველივე ამან მძიმე კვალი დააჩნია ქართული პოლიტიკური მეცნიერების განვითარებას. დღეისათვის სათანადოდ გააზრებული არ არის არა მარტო მსოფლიო პოლიტოლოგიური ცენტრების მდიდარი გამოცდილება, არამედ ქართული პოლიტიკური აზრის ისტორიაც.

ამიტომაც მოგვიწევს ფორსირებული ტემპებით დავძლიოთ ქართული ისტორიული მეცნიერების ეს ჩამორჩენა, გამოვასწოროთ ამ საქმეში არსებული სერიოზული ხარვეზები. რესპუბლიკაში ამ მიმართულებით გადადგმულ პირველ ნაბიჯებს შორის აღსანიშნავია უმაღლეს სასწავლებლებში ფსევდომეცნიერული საზოგადოებრივი დისციპლინების — სკკპ ისტორიის, მეცნიერული კომუნიზმის, მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის ნაცვლად პოლიტოლოგიის, სოციალური და პოლიტიკური თეორიებისა და ა. შ. შემოღება, რომელთა მიზანი სტუდენტი ახალგაზრდობის მიერ პოლიტიკური მეცნიერების ზოგადი საფუძვლების დაუფლებაა.

რაც შეეხება პოლიტოლოგიის, როგორც მეცნიერების განვითარების საკითხს, იგი საქართველოში უფრო ღრმა გააზრებას მოითხოვს. დღეისათვის საზოგადოებრივ პროფესიათა არც ერთი ინსტიტუტი მზად არ არის პოლიტოლოგიურ ცენტრად გარდასაქმნელად, ისე, როგორც ეს მოხდა ზოგიერთ მოკავშირე რესპუბლიკაში.

რა თქმა უნდა, ჩვენ ჯერ კიდევ შორს ვართ პოლიტოლოგიის მაღალკვალიფიციური კადრების მქონე ცენტრის შექმნისაგან, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ ვითარება დაყოვნებას აღარ ითმენს და ამ მიმართულებით პრაქტიკული ნაბიჯები უკვე დღეს უნდა გადაიდგას. სწორედ ამ საკითხის დიდმნიშვნელობას გაუსვა ხაზი გაზეთ „თავისუფალ საქართველოში" (11 იანვარი) გამოქვეყნებულ ინტერვიუში ბატონმა ზვიად გამსახურდიამ, როცა აღნიშნა, რომ „აუცილებელია განათლება, პოლიტოლოგიის საფუძვლების შესწავლა". წინააღმდეგ შემთხვევაში სავალალო კურიოზებს ვერ ავცდებითო.

ამ მხრივ გარკვეულ ინტერესს იწვევს ახალგაზრდა პოლიტოლოგთა გაერთიანებებისა და ასოციაციების შექმნაც. მაგრამ აღნიშნული ღონისძიებანი ვერ მოიცავენ პოლიტიკურ პრობლემატიკით დაინტერესებული საზოგადოების ყველა ფენას. სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკურ-სამართლებრივი სისტემის გარდაქმნის დღევანდელ ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოების პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბებას. უპირველეს ყოვლისა ეს შეეხება მათ, ვინც უკვე წარმოადგენს რესპუბლიკის და ადგილობრივ არჩევით ხელისუფლების ორგანოებს, ან ემზადებიან ასეთი მისიისათვის.

ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმულ სწორედ ამ კატეგორიის მოქალაქეთა პოლიტიკური განათლებისა და კულტურის ამაღლების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სოციალური მართვის ცენტრთან ყალიბდება ახალგაზრდა პარლამენტართა სკოლა.

სკოლის მსმენელები შეისწავლიან როგორც ქართული პოლიტიკური აზრის განვითარების ისტორიას, ისე დასავლეთის ქვეყნებში არსებულ მდიდარ გამოცდილებას. სკოლაში ლექციებს წაიკითხავენ როგორც მეცნიერი პოლიტოლოგები, ისე პრაქტიკოსი პოლიტიკოსები.

მაღალი პროფესიონალიზმის გარეშე საქართველოს სოციალ-ეკონომიკური დაწინაურება შეუძლებელია. იგივე ითქმის პოლიტიკოსპროფესიონალებზე. დასამალი არაა, რომ მოსახლეობის პოლიტიზაციის პროცესმა დიდად გაუსწრო წინ პოლიტიკური განათლებისა და კულტურის დონეს. პოლიტიკური ცოდნის გაღრმავებას საჭიროებს ჩვენი დეპუტატთა კორპუსიც. საუბარია ყველა დონის დეპუტატთა კორპუსზე, რომლის რიცხვი ადგილობრივი ხელისუფლების არჩევნების შემდეგ კიდე უფრო გაიზრდება.

ახალგაზრდა პარლამენტართა სკოლას არ ექნება იმის პრეტენზია, რომ შეძლებს პოლიტოლოგიის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებას, მაგრამ ვიმედოვნებთ, იგი ერთ-ერთი საჭირო და სასარგებლო რგოლი იქნება ამ სისტემაში.

**გიორგი ჯაოშვილი,**
ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი.

**უჩა ბლუაშვილი,**
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.

# წერილი „ახალგაზრდა ივერიელს"

წავიკითხეთ თქვენი გაზეთის 1991 წლის 31 იანვრის ნომერში გამოქვეყნებული ბატონ თამაზ ადამიას სტატია „ფრთხილად! წინ საშიში თავდაღმართია, ანუ წინ კომუნისტებია", რის შედეგად მრავალ გრძნობასთან ერთად, რომლებითაც ჩვენ ქვემოთ სტატიის ავტორს მივმართავთ, დაგვებადა ერთი შეკითხვა, ნუთუ თქვენი განახლებული გაზეთის ფურცლებზე, იმ დროს, როდესაც საქართველო განსაცდელშია, ილვრება სისხლი, გცალიათ და თავს ნებას აძლევთ გამოაქვეყნოთ ცილისმწამებლური სტატია იმ ადამიანის მიმართ, რომელიც ყოველთვის იქ იყო და არის, სადაც ერს სჭირდება, რომელმაც გაჭირვების ჟამს ხელი მოუმართა ათიათასობით თანამემამულეს? ნუთუ თქვენ დასაშვებად მიგაჩნიათ ამგვარი პასკვილების ჯღაბნა მაშინ, როდესაც ჩვენ, როგორც არასდროს, გვჭირდება ერთიანობა, მუშტად შეკვრა? ნუთუ ვერ ხვდებით, რომ ეს არის კიდევ ერთი მცდელობა დავქსაქსოთ ერი, ოღონდ ახლა პარტიული ნიშნით? ნუთუ არ კმარა ისტორიის გაკვეთილები?

ბატონო თამაზ!

ზუსტად არ ვიცით თქვენი მოღვაწეობის სფერო, არც თავად მიუთითებთ მას, მაგრამ ერთის თქმა შეიძლება, რომ ჟურნალისტი არ ხართ. ამის თქმის უფლებას გვაძლევს მრავალი უზუსტობა და ზერელობა, ფაქტების შეფასების დროს. პარტიული თუ უპარტიო ამბიციებით გაბრუებული თქვენ პირადულ შეურაცხყოფებზე გადახვედით, რაც დღეს საქართველოში არა თუ ქართველს, არაქართველსაც არ ეკადრება. სწორედ ამან განაპირობა ჩვენი აღშფოთება. თქვენ პიროვნულად შეეხეთ ადამიანს, რომლის წვლილი ერისა და ქვეყნის წინაშე განუზომელია. ჩვენ სწორედ ის ხალხი ვართ, ვისთვისაც ავბედობის დროს ბატონმა ავთანდილ მარგიანმა გამონახა თბილი სიტყვაც და თბილი კუთხეც, ჩვენ ის ხალხი ვართ, ვისთვისაც ავთანდილ მარგიანის თავკაცობით მარტო ქვემო ქართლში აშენდა 8 სოფელი, სადაც თავშესაფარი ნახა 30 ათასამდე სტიქიით დაზარალებულმა, გზააბნეულმა, გაუბედურებულმა ქართველმა სვანეთიდან, რუსეთიდან, აზერბაიჯანიდან, ჩრდილოეთ ოსეთიდან. სად არ უჭირდა ქართველს ამ ბოლო დროს? ყოველივე ამის შემდეგ თქვენ თავს უფლებას აძლევთ ირონიით, აგდებულად მოიხსენიოთ ეს პიროვნება, ეჭვი შეიტანოთ მის შესაძლებლობებში?

ნება მოგვეცით გკითხოთ, თქვენ თვითონ სად იყავით, როდესაც უჭირდა ქართველს, სად იდექით მაშინ, ან სად და ვისთან ხართ დღეს? წერილის სულისკვეთებიდან ჩანს, მთლად მოყვარესთან არ უნდა იყოთ, თქვენ უფრო სუკ-ის აგენტის ხელწერა და მიზნები გაქვთ. თქვენ ეჭვი შეიტანეთ ბატონ ავთანდილ მარგიანის სიტყვებში 700 სვანი ოჯახის მზადყოფნის შესახებ სამაჩაბლოს ყველაზე ცხელ წერტილებში ჩასახლებისათვის. გვინდა დაგარწმუნოთ, რომ გაჭირვებული ბევრად მეტი გვყავს, ესეც' რომ არა, ბატონ ა. მარგიანის სიტყვაზე 700 კი არა 7000 სვანი ოჯახი ჩავა სამაჩაბლოში, ოღონდ არა თქვენი წაქეზების, არამედ ერის ინტერესებიდან გამომდინარე. ისევე როგორც ეს მოხდა აფხაზეთში, სამაჩაბლოში, ქვემო ქართლში, მესხეთ-ჯავახეთში, ყველგან, სადაც ერს უჭირდა.

ამასაც რომ თავი დავანებოთ, ავთანდილ მარგიანი ღმერთის მორწმუნე კაცია, მისი უშუალო ხელმძღვანელობით არაერთი და ორი სალოცავი აღსდგა, წმინდა კვირიკეს ეკლესიის ხატზე დაფიცული აქვს, რომ არ უღალატებს ერს და არ შეეწიოს ჩვენი წმინდა სალოცავების მადლი იმათ, ვინც ეჭვი შეიტანოს ამ ლოცვის გულწრფელობაში.

თქვენ გაინტერესებთ, თუ რა სახსრებით არსებობს დღეს კომპარტია? ამის გაგება ძნელი არ არის, საჭიროა ელემენტარული დაინტერესება და მარტივი ბუღალტერიის ცოდნა. მაგრამ ჩვენ უფრო სხვა კითხვაზე გვინდა მივიღოთ პასუხი. ნუთუ თქვენ ამგვარი სტატიების გამოქვეყნების ჰონორარებით გინდათ შეავსოთ წმინდა მერაბ კოსტავას ფონდიდან თქვენი გვარის და მოდგმის მიერ მიტაცებული დანაკლისი?

თქვენ გვარწმუნებთ, რომ სამაჩაბლოში მზად არის რამოდენიმე სახლი და ითხოვთ სვანების ჩასახლებას, მაგრამ ნება მოგვეცით გკითხოთ, რას უპირებთ ათასობით ლტოლვილს, სად ჩაასახლებთ მათ? აქედანაც ჩანს, რომ მთელი თქვენი სტატია სუფთა წყლის დემაგოგიაა, რომელიც წყალს ასხამს იმპერიული ძალების წისქვილზე.

სოფლების—ლემშვანიერას, ნაგების, ლელაშხას, ხაიშის, ჭივჭავის, გოლთეთის, წერეთლის, სიონის წარმომადგენლები: თ. ონიანი (5 შვილის დედა), ვ. აბდელანი (11 შვილის დედა), ს. ხარძიანი, ო. გულედანი, მ. ჭელიძე, დ. მარგიანი (6 შვილის დედა), ა. ხარძიანი, რ. შუკვანი, თ. ჯაფარიძე, ვ. ხარძიანი, შ. დადვანი, მ. ნიჟარაძე (5 შვილის მამა), მ. ჯინჭარაძე, გ. დევდარიანი, ს. ავალიანი, თ. ხაბულიანი, თ. გოშთელიანი (5 შვილის მამა), დ. ჭელიძე, ვ. ვეზდენი, ვ. გაგაძე, ვ. ავალიანი, ვ. კახიანი, მ. კვიციანი, მ. ავალიანი, ნ. შერვაშიძე (6 შვილის დედა), ს. გვარლიანი (6 შვილის დედა), რ. იოსელიანი, ჯ. იოსელიანი, გ. ქურდიანი, თ. ხარძიანი (14 შვილის დედა), ნ. პირველი, ვ. კოვალიოვა, ს. ჯოხაძე, მ. ნიგურიანი (5 შვილის მამა) და სხვა. (სულ 100-ზე მეტი ხელმოწერა)

**ავტორთა თხოვნით ჰონორარი გადაირიცხება სამაჩაბლოს ალორძინების ფონდში.**

**რედაქციისაგან:**

**ბატონ თამაზ ადამიას წერილში — „ფრთხილად! წინ საშიში დაღმართია, ანუ წინ კომუნისტებია!" — მართალია, იყო მკვეთრი შეფასებები და კომპარტიის შემდგომი მოღვაწეობის მკაცრი პროგნოზი, რომელიც ემყარება „დიად სამშობლოში", კერძოდ ბალტიის ქვეყნებში კომუნისტთა უკანასკნელი დროის გააქტიურებას და მათ მიერ შეკოწიწებული იმპერიის ხსნის კომიტეტთა საქმიანობას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მასში არ ყოფილა პიროვნების შეურაცხმყოფელი ფრაზეოლოგია. აქედან გამომდინარე, რედაქცია არ ეთანხმება ამ წერილში გამოთქმულ, ჩვენის აზრით, მიუღებელ წინადადებებს, რომლებიც ავტორთა დაჟინებული მოთხოვნით იბეჭდება.**

**ეს მინაწერი უკვე მომზადებული იყო, როცა მივიღეთ საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გაზეთ „ცხოვრების" პირველი ნომერი. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიებზე არაერთხელ დაისვა საკითხი ცენტრალური კომიტეტის შენობის მინისტრთა საბჭოსათვის გადაცემის შესახებ და ამის თაობაზე კომპარტიის წარმომადგენლებმა ერთმნიშვნელოვნად განაცხადეს, რომ ვინაიდან რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს და მთავრობას სივიწროვის გამო არა აქვს სამუშაო პირობები, ისინი საკუთარი სურვილით, ნებაყოფლობით დაუთმობენ შენობას და რომ ეს საკითხი პრაქტიკულად უკვე გადაწყვეტილია. აქედან ისიც იგულისხმებოდა, რომ კომპარტია, როგორც რიგითი და სხვათა შორის თანასწორი პოლიტიკური ორგანიზაცია, მისი დღევანდელი პოლიტიკური სტატუსის შესაბამისად, უფრო მორიდებულად, შესაფერის შენობაში გააგრძელებდა ფუნქციონირებას. თუ ეს ასეა, მაშინ რას ნიშნავს „ცხოვრების" პირველ გვერდზე გამოქვეყნებული ცკ-ს გრანდიოზული შენობის ფოტო და ხაზგასმა იმისა, რომ ის აშენდა კომუნისტთა სახსრებით და რომ პარტიის საკუთრება წმიდათაწმიდაა (ხომ არ ნიშნავს ეს საკუთრების ხელშეუხებლობასაც და, საერთოდ, ალბათ უფრო ფრთხილად უნდა ვილაპარაკოთ სიწმინდეზე, მითუმეტეს, როცა საქმე ჩვენს „გონებას, ღირსებასა და სინდისს" ეხება). გვინდა დავიჯეროთ, რომ საქართველოს კომპარტია, მართლაც არის დამოუკიდებელი, მართლაც არის საქართველოსი და მართლაც ეროვნულია და კომუნისტთა გადაწყვეტილებაც საბოლოოდ ეროვნული და საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე იქნება.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 20 საათი და 120 წუთი სამაჩაბლოში

**„ახალგაზრდა ივერიელის“ წინა ნომერში გამოქვეყნდა ჩვენი სპეციალური კორესპონდენტის რეპორტაჟის დასაწყისი სამაჩაბლოდან.**

**მაშინ ჩვენ ვერ მოვახერხეთ ოპერატიულად მასალის სრულად გამოქვეყნება. დღეს ვბეჭდავთ რეპორტაჟს მთლიანად.**

**გორის** შინაგან საქმეთა განყოფილებაში, 31 დეკემბერს, დაახლოებით 17 საათზე ვიყავი. აქვე დამხვდა საქინფორმის კორესპონდენტი რიტა დოლიძე და მილიციის თანამშრომლების დახმარებით ცხინვალისაკენ გავემგზავრეთ.

18 საათისათვის ცხინვალის შესასვლელთან, ავტოინსპექციის ყოფილ საგუშაგოსთან ვართ. „ყოფილს“ იმიტომ ვხმარობ, რადგან აქ ამჟამად საქართველოს მილიციის შტაბია მოთავსებული. შტაბამდე მისვლაში ავტომატებით შეიარაღებული მილიციის თანამშრომლები გვაჩერებენ...

ყველაფერი ზუსტად ისეა, როგორც ამ ბოლო დროს ტელევიზიით გვაჩვენებენ: ჯავშანტრანსპორტიორები, შინაგანი ჯარების შეიარაღებული ჯარისკაცები, მილიციის შეიარაღებული თანამშრომლები, სილით სავსე ტომრებით გამაგრებული საგუშაგოები... მოკლედ, ნამდვილი საომარი განწყობილება და მდგომარეობაა.

შტაბში სხვა პასუხისმგებელ მუშაკებთან ერთად მილიციის პოდპოლკოვნიკი ავთანდილ ჯაშიც დაგვხვდა. როცა შეიტყო, რომ ჩვენ თამარაშენში გვინდოდა რამენაირად მოვხვედრილიყავით, არ დაგვთანხმდა. ამ დროისთვის მდგომარეობა თითქმის ნორმალურია. თუმცა რატომ ამ დროისათვის — სოფელ ავნევის ინციდენტის მერე სროლა ყველგან შეწყვეტილია.

— შტაბი, მე თამარაშენი ვარ... შტაბი, მე № საგუშაგო ვარ! — ისმის რაციიდან დროგამოშვებით.

ბატონ ავთანდილს თავი მოვაბეზრეთ იმის მტკიცებით, თუ რაოდენ აუცილებელია ჩვენი თამარაშენში მოხვედრა. არაფერი გამოდის, კვლავ უარზეა და გარეთ გადის.

ღამეა. შტაბიდან კარგად მოჩანს განათებული ცხინვალი. თუ არა ჯავშანტრანსპორტიორების გრუხუნი, შეიარაღებული ჯარისკაცები და მილიციელები, შეიძლება არც გაგახსენდეს, რომ ბოლო ხანებში აქ ბამბას კი არა, ნამდვილ, ადამიანთა სასიკვდილოდ გამიზნულ ტყვიებს ისვრიან.

19 საათი და 30 წუთია. თითქოს არაა თამარაშენში მოხვედრის იმედი, მაგრამ, მაინც... არადა, ახლა, იქ მოხვედრის მხოლოდ ერთადერთი საშუალება ჯავშანტრანსპორტიორია. სხვა საშუალება პრაქტიკულად არ არსებობს.

20 საათია. — თქვენ ისევ აქ ხართ? — ღიმილით გვეუბნება ბატონი ავთანდილი და დასძინა: —ისე, ალბათ, მეც რომ თქვენს ადგილზე ვიყო, იქნებ უკვე „დამკაშიც“ ვყოფილიყავი! — და ისევ გარეთ გადის.

— შტაბი! მე № საგუშაგო ვარ, როგორ გესმის ჩემი?!

— ისმის რაციიდან.

...20 საათი და 30 წუთი. ჯავშანტრანსპორტიორით მივქშგზავრებით. ლუკიდან კარგად მოჩანს რკინა-ბეტონის კონსტრუქციებით ჩახერგილი ქუჩები. აქაიქ თუ გვხვდებიან გამვლელები.

აი, თამარაშენის საშუალო სკოლაც, სადაც ქართული მილიციის ერთ-ერთი რეზიდენციაა.

●

**№ საგუშაგო, 23 საათი და 20 წუთი, 31 იანვარი.**

**გურამ მჭედლიშვილი, საქართველოს სატრანსპორტო მილიციის სამმართველოს მუშაკი:**

— ჩვენი ჯგუფი 4 იანვარს ჩამოვიდა. რამდენიმე დღით შევიცვალეთ. სამსახურში ზოგი რამ მოსაწესრიგებელი გვქონდა. ხელმძღვანელობა ქმნის იმის პირობებს, რომ საქმეები სამსახურებშიც საჭირო დონეზე იყოს და აქაც ვაკეთოთ ეროვნული საქმე. ერთ რამეს მინდა ხაზი გავუსვა: ამ ვითარებამ, ამ დაძაბულმა ატმოსფერომ ძალიან დააახლოვა და შეკრა კოლექტივი. ეს ძალიან კარგია...

— ზოგი ჭირი მარგებელიაო, ალბათ ამაზეა ნათქვამი. საბრძოლო სიტუაციაში გამოსცადეთ ერთმანეთი და ალბათ ამას აქვს გარკვეული მნიშვნელობა... თქვენი აქ ყოფნის დროს ექსცესები თუ ყოფილა?

— ექსცესები? ვფიქრობ არ გვაკლია... ბიჭები არ იბნევიან, კარგად ერკვევიან შექმნილ მდგომარეობაში. ჩვენი მხრიდან არ ყოფილა რაიმე გადაცდომა...

— ამ ბოლო სამი-ოთხი დღის განმავლობაში თუ ყოფილა სროლები?

— იყო რამდენიმე შემთხვევა, მაგრამ საბედნიეროდ არ ყოფილა მსხვერპლი, არავინ დაჭრილა არც ჩვენი და არც მოსახლეობის მხრიდან.

— რა როლს თამაშობს ადგილობრივი მოსახლეობა შექმნილ მდგომარეობაში? თუ გეხმარებიან?

— ადგილობრივი მოსახლეობა მხარში გვიდგას, ჩვენთან ერთად იზიარებენ ჭირსაც და ლხინსაც... ახლა თვითონ ძალიან მძიმე მდგომარეობაში არიან. მე, პირადად, სიტყვები არ მყოფნის, რომ მათ თანავუგრძნო... ერთადერთი იმის თქმა შემიძლია, რომ დარწმუნებული ვარ ხვალინდელი დღე უკეთესად წარიმართება როგორც მათთვის, ისე მთელი საქართველოსათვის და თუნდაც ამიტომაა მოთმინება საჭირო...

მინდა ვისარგებლო და, თუ თქვენი გაზეთით საშუალებას მომცემთ, მადლობის სიტყვები არ დავიშურო თბილისის მილიციის უმაღლესი სკოლის კურსანტების მისამართით: ძალიან კარგი ბიჭები არიან, აშკარაა, რომ ისინი შეკრული, ჯანსაღი კოლექტივიდან არიან. მიხარია, რადგან, თუ სხვაზე შეიძლება ითქვას საქებარი, პირველ რიგში კურსანტებზე უნდა ითქვას. მათ ვაჟკაცობით დაამტკიცეს, რომ სწორედ ასეთი მომავალი ეროვნული მილიცია გვჭირდება. ეს ალბათ იმითაც არის განპირობებული, რომ ისინი ცხოვრობენ კაზარმულ პირობებში, ერთად სხედან ლექცია-სემინარებზე, შინაგანად და ფიზიკურად მომზადებული არიან.

— შარშან მე მოვამზადე წერილი მათ შესახებ და დაიბეჭდა კიდეც „ახალგაზრდა ივერიელში“. ისინი როგორც დღეს, იმ პერიოდშიც გამოირჩეოდნენ...

— მართალი ბრძანდებით. შარშანდელი გამოცდილება წელს მათ აშკარად ეტყობათ. ავიღოთ თუნდაც ის, რომ დაიწყო თუ არა სამაჩაბლოში კრიზისი, პირველად სწორედ ისინი შემოვიდნენ. შემოვიდნენ ამასთანავე ძალიან ორგანიზებულად, ვაჟკაცური შემართებით და დღემდე ასე არიან. თორემ აგერ არ არის ერთი მათგანი? თვითონ მოგიყვებათ.

**დათო წკრიალაშვილი, თბილისის მილიციის უმაღლესი სკოლის პირველი კურსის კურსანტი:**

— მე დეკემბრის თვიდან აქა ვარ. ერთი-ორი დღე სახლში წავალ ხოლმე და ისევ ჩამოვდივარ...

— თბილისელი ხართ?

— არა გორელი. რა გითხრათ? ვდგავართ. ვაკეთებთ იმას, რასაც უნდა ვაკეთებდეთ, რასაც უფროსები გვეუბნებიან და რაც საჭიროა იმისათვის, რომ საქართველოში იყოს მშვიდობა. სამწუხაროა, რომ აქაურ, როგორ გითხრათ, აქაურ ექსტრემისტებს არ ესმით რას აკეთებენ. მინდა გაიგონ, რომ ამ ქვეყანაზე სულ რაღაც ორიოდე დღით მოვსულვართ და რა აუცილებელია ისიც ომში გავატაროთ? ხომ შეიძლება ვიყოთ წყნარად, ადამიანები ვართ, ცხოველები ხომ არა?

— თქვენს ბიჭებზე, თქვენს კურსანტებზე რას გვეტყვით?

— ჩვენი ბიჭები ძალიან კარგი ბიჭები არიან. ყველა ჯარგამოვლილია, ყველას გააჩნია ის, რასაც ვაჟკაცობა ჰქვია. არ ყოფილა შემთხვევა, მათ უკან დაეხიოთ...

— მითხრეს რომ თქვენ ჯავშანტრანსპორტიორს მართავთ.

— ესაა სამხედრო სადაზვერვო მანქანა, მაგრამ მე იქ მსროლელის მოვალეობას ვასრულებ. ადვილად ვლაპარაკობ, არა? არადა თითის ღილაკზე მიჭერა და ადამიანი გამოსალმებულია სიცოცხლეს. დამერწმუნეთ, არ არის ადვილი ყოველივე ეს. თავისებური დაფიქრება უნდა ყველაფერს...

— მე ისე გავიგე, რომ თქვენ გიჭირთ სროლა...

— რა თქმა უნდა, მაგრამ როცა ხედავ, რომ არ გინდობენ... ომია, ჩემო ძმაო, აქ, ომის კანონები კი ულმობელია: შენ არა მას, მაშინ ის შენ მე მგონი გასაგებად ვამბობ?

— თქვენი კურსანტი დაიღუპა, ლობჟანიძე, იცნობდით?

— როგორ არ ვიცნობდი, ვიცნობდი, ის ჩემზე სამი კურსით წინ სწავლობდა. ვაჟკაცი ბიჭი იყო, კარგი ადამიანი. ყველას გული დაგვწყდა...

— იმ ინციდენტის დროს იქ იყავით?

— არა, მათი სხვა ჯგუფი იყო, მათ სხვა დავალებები ჰქონდათ.

●

**№ საგუშაგო, 00 საათი და 20 წუთი. 1 თებერვალი.**

**გივი ქურხული, სატრანსპორტო მილიციის სამმართველოს პოდპოლკოვნიკი:**

— ჩვენი სამმართველო 4 იანვრიდანაა მობილიზებული. გარკვეულ პერიოდში ვიცვლებით. ერთ ეპიზოდს გავიხსენებთ, სამხედრო პირებთან დაკავშირებით. ერთ დღეს, ღამით, რიცხვი ზუსტად არ მახსოვს, სოფელ სვილიდან მივიღეთ ინფორმაცია, რომ იქ ინტენსიური სროლა იყო. სასწრაფოდ გავემგზავრეთ ჯავშანტრანსპორტიორით, დაგვინახეს თუ არა, სიჩუმე ჩამოვარდა. ცოტა ხანში ჩვენ უკან დავბრუნდით. ნახევარი საათის შემდეგ იქ კვლავ განახლდა სროლა, ჩვენ ისევ წავედით, — ისევ შეჩერდნენ: ჯავშანტრანსპორტიორის ასე თუ ისე, მაინც ეშინიათ. ჩვენ დილამდე გავჩერდით, რათა დღის სინათლეზე გვენახა თუ რა ხდებოდა იქ. დაახლოებით შვიდ საათზე ისევ ატეხეს სროლა. ჩვენ ამ მიმართულებით გავემგზავრეთ და დავინახეთ, ამას მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, დგას სამხედროების ჯავშანტრანსპორტიორი, საიდანაც სამი კაცია გადმოსული: ერთი ჯარისკაცი და კიდევ ორი ოფიცერი. სწორედ იმ მომენტში მივედით, როცა იმ ორმა ოფიცერმა ჩვენთვის უცნობ მოქალაქეს ორი „ცინკის“ ყუთი გადასცა. ასეთ ყუთებში ვაზნებია მოთავსებული, თუმცა იმის თქმა კი არ შემიძლია, ავტომატის თუ ტყვიამფრქვევის ვაზნები. მოქალაქემ რომ დაგვინახა, ყუთები აიტაცა და სირბილით მიიმალა.

იქვე თივის ზვინი იყო. ამოვეფარეთ. ბიჭები გავაფრთხილე, არ ესროლათ, რადგან სამხედროებისათვის საბაბი არ მიგვეცა. ჩვენ გავჩერდით იმიტომ, რომ დაგვენახა ჯავშანტრანსპორტიორის ნომერი. ოფიცერმა რაკი შეგვხედეს არ მივდიოდით, — კარგად მახსოვს: ერთი ულვაშიანი სათვალით იყო, მეორე უფრო ახალგაზრდა ჩანდა— ავტომატებიდან სროლა აგვიტეხეს. ჯავშანტრანსპორტიორის გარშემო ჩვენი ბიჭები იყვნენ. ის იყო ლუკი ავწიე, ტყვია მოხვდა. არადა დაყვირება მინდოდა, რომ არ ესროლათ. იქვე პატარა ჩიხივით შესასვლელი იყო, იქით დავიხიეთ.

— რა მანძილი იყო თქვენსა და მათ შორის?

— 25-30 მეტრი. ძნელია ამ დროს თავი დაიჭირო, ნერვებმა არ გიმტყუნოს. არადა, ვფიქრობ, სწორედ ეს უნდოდათ. ამასთანავე ნასვამებიც ჩანდნენ.

— როგორ შეიძლება შეამჩნიო, ამ მანძილზე კაცი ნასვამია თუ არა?

— იცით, რა, ჩვენ ხომ ვუყურებდით, რომ მათი ავტომატებიდან ნასროლი ტყვიები ხან ჩვენს ჯავშანტრანსპორტიორს ხვდებოდა, ხან ჰაერში მიფრინავდა და... მოკლედ ჩვენ ვხედავდით, ისინი, ასე რომ ვთქვათ, „ლაყლაყებდნენ“. ამ ფაქტის შესახებ მოვახსენეთ ჩვენს ხელმძღვანელობას.

— ახლა უკვე 1 თებერვალია. რამდენი ხანია, რაც სიწყნარეა?

— დღეს, უფრო სწორად გუშინ, სროლა არ ყოფილა, გუშინ, მაგალითად ერთი-ორი სროლა გაისმა თამარაშენის ქვედა მხრიდან. იქით ხუთსართულიანი საერთო საცხოვრებელია და იქიდან. გუშინ და დღეს სხვა დღეებთან შედარებით სიწყნარეა..

— ღამითაც?

— დღის საათებში სროლები თითქმის არ არის. ეტყობა ღამით უფრო უადვილდებათ. ესეც არ იყოს, მათ, როგორც ჩანს აქვთ ღამის სნაიპერული იარაღი. 4 იანვარს, როცა აქ ჩამოვედით, ერთ-ერთ ადგილზე მძიმე სატვირთო ავტომანქანა „მაზი“ იდგა. ჩვენც იქ ვიყავით. ტყვია მოხვდა საქარე მინას, ტყვიამ გახვრიტა, აგრეთვე, კაბინაც და რკინის ძარაში გაიჩხირა. ესე იგი, მძღოლი რომ მჯდარიყო, 100-პროცენტიანი სიკვდილი ელოდა. ვფიქრობ, ვიღაც იყო მიზანში ამოღებული და შემთხვევით გაიწია, თორემ... ისე ტყუილად არავინ ისვრის, განსაკუთრებით ღამით.

— ბატონო გივი, ამბობენ, რომ იყო რაკეტების სროლის შემთხვევებიც?

— კი, იყო. შობის დღეს. ჩვენ დიდი პურ-მარილი არ გვქონდა, მაგრამ მაინც ვაპირებდით შევხვედროდით. სწორედ მაშინ ნამდვილი სარაკეტო თავდასხმა მოგვიწყეს — რვა რაკეტა გვესროლეს. ღმერთმა დაგვიფარა — მსხვერპლი არ გვქონდა.

— ეს იყო სსრკ პრეზიდენტის ბრძანებულების ღამეს?

— სწორედ. პირველი სალუტები გაუშვეს, შემდეგ კი რაკეტები ჩვენი შენობის განლაგებას დაუშინეს.

●

**№ საგუშაგო 01 საათი და 00 წუთი, 1 თებერვალი.**

**ვაჟა ნათელაშვილი, პოლკოვნიკი, სატრანსპორტო მილიციის სამმართველოს უფროსის მოადგილე:**

— აქ ვარ პირველი დღიდანვე, რამდენჯერმე ჩავედი თბილისში ზოგიერთი საკითხის გადასაწყვეტად, ჩვენ კოლეგები ვცვლიდით ერთმანეთს.

ეს უბანი რთულია, ძალზე რთული, თუმცა, შეიძლება სხვა უბნებიც არ იყოს ნაკლები! თამარაშენი ყველაზე დიდი ქართული სოფელი, ძველი ისტორიული სოფელია... იგი პირდაპირ გადაბმულია ცხინვალზე, არავითარი შუალედი არ არის. იქ, სადაც არის აბრა და აწერია თამარაშენი, სწორედ იქიდან იწყება ჩვენი გაჭირვებაც. იქიდან ვიცავდით ამ გზას. ეს გზა სტრატეგიული მნიშვნელობისაა, რადგან იყო საშიშროება ჩრდილოეთის მხრიდან წამოსულიყო მოსახლეობა ახლო-მახლო მდებარე ოსური სოფლებიდან და მათ კი მხარს დაუჭერდნენ სხვა ხალხიც — მოგეხსენებათ საიდანაც.

საბედნიეროდ ჩვენ გავაკეთეთ ყველაფერი და ეს ასე არ მოხდა. სოფელი გვეხმარება. ძალიან ძლიერი, ვაჟკაცური სოფელია. აქ მაინცდამაინც ვერ თარეშობდნენ. იყო ზოგიერთი ფაქტი, მაგალითად, შუა სოფელში არის აბრა, სამაჩაბლო აწერია, სულ დაცხრილულია, ალბათ ნახეთ... მაგრამ აქ ძირითადად ქართული სულია, და ქართული ფუძეც ძლიერია. კეხვამდე კიდევ რამდენიმე ქართული სოფელია და ამ უბანს ძირითადად ჩვენ, სატრანსპორტო მილიციის თანამშრომლები და კურსანტები ვუვლით.

როგორც გითხარით, რთული უბანია, გეოგრაფიულად დაუცავი; ერთი მხრიდან მთაა, სადაც არის ბილიკები, მოსახლეობა მოძრაობს. იქიდანაც ისვრიან ხოლმე, ხანდახან სნაიპერებიც. მეორე მხრიდან არის ხევი, იქ საწარმო, თუ არ ვცდები, ტრიკოტაჟის კომბინატია მრავალსართულიანი საერთო საცხოვრებლებით. აი ამ სახლების სახურავებიდან იყო სროლა ნალმსატყორცნებიდან, ავტომატებიდან, კარაბინებიდან.

თამარაშენის მოსახლეობაც აწარმოებს პატრულირებას. მათ, რა თქმა უნდა, უკეთესად იციან ყველა მისასვლელ-მოსასვლელი. ვცდილობთ ძირითადად გზაზე ეს ხალხი ღამით არ გამოვიდეს, რათა თავიდან ავიცილოთ ექსცესები. ღამით აქ ძირითადად სამხედროების ჯავშნოსანი ტექნიკა მოძრაობს, ისინი კი ვის გადაეყრებიან გზაზე, მაინცდამაინც დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებენ.

— ბატონო ვაჟა, სახლების დაწვის თაობაზე რას გვეტყოდით?

— ჩვენ ამ საკითხებზე არ ვმუშაობთ. ჩვენ ჩვენი ფუნქციები გვაქვს. აღნიშნული საკითხი ადგილობრივი მილიციის პრეროგატივაა. როცა მოდის ასეთი ინფორმაცია, ჩვენ დროულად გადავცემთ. მაგრამ თუ ახლომახლოა ასეთი შემთხვევა, ბუნებრივია მას აღვკვეთავთ. მეტწილად კი ჩვენ მოსახლეობის დაცვის საკითხებზე ვმუშაობთ.

— რა აზრის ბრძანდებით ამ რეგიონიდან, კონკრეტულად კი თამარაშენიდან ქართული მილიციის გაყვანის შესახებ?

— არ შეიძლება. ჩვენი ხელმძღვანელობაც ამის კატეგორიული წინააღმდეგია. ეს ბუნებრივიცაა, რადგან არსებობს შიში, რაც გამოწვეულია ამ სოფლის ოსური მოსახლეობის გარემოცვით. სოფელს არ ძინავს კვირის, თვის განმავლობაში, თამამად ბავშვებსაც კი ვერ აძინებენ. პირველ რიგში ამ ხალხს ჰპირდება ჩვენი აქ ყოფნა.

●

ისევ ხავრიელად თოვს, გვარიანადაც ყინავს. უკვე შეიცვალა ხალხი საგუშაგოებზე. შეიცვალა პაროლიც. პაროლის გარეშე ვერც ერთ საგუშაგოს ვერ მიუდგები, რადგან შესაძლოა ვიღაცას ნერვებმა უმტყუნოს და ჩახმახს თითი გამოსდოს.

სატრანსპორტო მილიციის სამმართველოს კაპიტანი, ყოფილი ჟურნალისტი თემურ ბაკურაძე თითქმის უსიტყვოდ ხვდება, რაც მინდა და სხვა საგუშაგოებამდე მაცილებს.

●

**№ საგუშაგო, 02 საათი და 15 წუთი, 1 თებერვალი.**

**ჰამლეტ ლოლაშვილი, სადგურ თბილისის საკვანძოს შს ქვეგანყოფილების მილიციის კაპიტანი, სისხლის სამართლის სამძებროს ოპერრწმუნებული:**

— ახლახან შევცვალე ჩემი კოლეგა. საათზე ცოტა მეტია, რაც ამ საგუშაგოზე ვიმყოფები. აღსანიშნავია, რომ წინა მორიგეობის დროს ხშირი იყო სროლები, ახლა სრული სიმშვიდეა. ახლა, როგორც თქვენ თვითონ დარწმუნდებით, იშვიათად, თანაც სადღაც შორიდან თუ ისმის ხმა. ვფიქრობ თანდათან ყველაფერი წესრიგში მოვა როგორც აქ, ისე მთლიანად სამაჩაბლოს ტერიტორიაზე.

●

ისეთი სიჩუმეა, სახლებს რომ ვერ ხედავდე, კაცი იფიქრებდა, უკაცრიელ მინდორში ვიმყოფებით. ძაღლი რომ ძაღლია, იმის ყეფაც კი არ ისმის არსად.

ეს ერთი შეხედვით, თორემ იგრძნობა სოფელს არ ძინავს, პირიქით — სოფელს ღვიძავს, სოფელი ყველაფერს ხედავს და ასი თვალი და ასი ყური გაუმახვილებია.

●

**№ საგუშაგო, 03 საათი და 30 წუთი, 1 თებერვალი.**

**გოჩა დაბახიშვილი, სადგურ თბილისის საკვანძოს შს ქვეგანაყოფის თანამშრომელი:**

— ადრინდელთან შედარებით, მშვიდობაა. დღეს შევცვალე. ჯერჯერობით გასროლა არ ყოფილა.

— შიშის გრძნობა თუ გქონიათ?

— არავითარ შემთხვევაში, არავითარი შიშის გრძნობა არ მქონია.

— რაც უნდა იყოს, ის ვიღაცა, ვისაც მაგ ავტომატიდან უნდა ესროლო, მაინც ადამიანია... არ გეცოდებათ?

— სიტუაციას გააჩნია. არც მე და არც ჩვენს ბიჭებს პირველი არასოდეს გვისვრია. ისე კი, როცა იცი, რომ თუ არ ისვრი ადვილი მოსალოდნელია, მოგკლან, მაშინ სულელი უნდა იყო იარაღის სასხლეტთან თითი აგიკანკალდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**№ საგუშაგო, 04 საათი 50 წუთი 1 თებერვალი**

**იური ადამია, სამტრედიის სახაზო მილიციის თანამშრომელი:**

— ახლახან მოვედი საგუშაგოდ. ერთი თუ ორი გასროლის ხმა იყო, ოღონდ სადღაც შორს. მოკლედ სიმშვიდეა, მეტი არაფერი.

— სიმშვიდე იყოს, მაგას რა სჯობია?

— აქ მაგიტომ ვართ...

●

ასიოდე მეტრის იქით, ძაღლმა დაიყეფა. ვერ აიტანა ასეთი სიჩუმე და ალბათ იმიტომ.

მალე გათენდება.

●

**№ საგუშაგო, 05 საათი და 40 წუთი, 1 თებერვალი.**

**ხოხო ხაბურზანია, სადგურ ხენაკის მილიციის სახაზო პუნქტის სისხლის სამართლის ოპერრწმუნებული:**

— დღეს ჩავიბარეთ მორიგეობა. ჩვენი ბიჭები აბსოლუტურად ყველაფრისთვის მომზადებული არიან. ამჟამად სიმშვიდეა. როგორც ჯერჯერობით ჩანს, მდგომარეობა სტაბილიზაციისაკენ მიდის და თუ ქართველი ხალხი მხარში ამოგვიდგება, ალბათ, მალე სამაჩაბლოში სრული წესრიგი დამყარდება.

— კონკრეტულად რას გულისხმობთ ქართველი ხალხის მხარში ამოდგომაში?

— კონკრეტულად იმას, რომ რაც სამაჩაბლოს უჭირს, ყველამ გულთან მიიტანოს. ეს ნიშნავს კიდევ უფრო აქტიურ, მორალურ და მატერიალურ მხარდაჭერას.

— ცოლშვილიანი ხართ?

— კი. მყავს მეუღლე და ერთი ბიჭი, — მერვე კლასის მოსწავლე.

— ოჯახში არ ნერვიულობენ? იციან რომ აქ ხართ?

—რა თქმა უნდა იციან. ვაჟკაცურად გამომაცილეს. იმ მომენტში არ ნერვიულობდნენ. ახლა შეიძლება... დილით ჩემი ბიჭი ადრე ადგა, ისიც ფაციფუცობდა, საჭირო ნივთების ჩალაგებაში მეხმარებოდა...

●

**№ საგუშაგო, 00 საათი 20 წუთი, 1 თებერვალი.**

**ჰამლეტ ლოლაშვილი:**

— გასროლა ჯერ აღარ ყოფილა.

— ირიჟრაჟა. საცაა გათენდება. რას ისურვებდით?

— მშვიდობას. მშვიდობას აქ, სამაჩაბლოს ძირძველ ქართულ მიწაზე, მშვიდობას სრულიად საქართველოში, მთელს ქვეყანაზე.

— დღეს 1 თებერვალია, ძალაში შედის ორი საკავშირო მინისტრის ბრძანება მილიციის თანამშრომლებთან ერთობლივი პატრულირების შესახებ. თქვენ რა აზრის ბრძანდებით?

— სხვაგან, თუნდაც რუსეთის ქალაქებში არ ვიცი როგორაა, მაგრამ აქ, საქართველოში ყველაფერს ჩვენ თვითონ მოვუვლით. ავტომატიანი ჯარისკაცები მხოლოდ გააღიზიანებს ჩვენს მოსახლეობას. მოკლედ, ცენტრმა თავი დაგვანებოს და ჩვენს საქმეს თავად მივხედავთ.

●

მშვიდობიანად გათენდა. თოვამაც გადაიღო. საგუშაგოებზე ღამის მორიგეები შეიცვალნენ. ისინი საუზმობენ და დასასვენებლად მიდიან. ვისაც ამ დილით განაწესით საგუშაგოზე გასვლა არ ეკუთვნის, აქაც უამრავი საქმეა: საძინებლების მოწესრიგება, შეშის დაპობა, წყლის მოტანა...

ვჩქარობ. მინდა რაც შეიძლება დროზე დავბრუნდე რედაქციამდე და ეს რეპორტაჟი სტამბას ჩავაბარო. არაფერი გამოდის. შუადღემდე მხოლოდ ერთი ჯავშანტრანსპორტიორი მოვიდა, რომელსაც ცხინვალის რაიონის პროკურორი დათო კეკენაძე მოჰყვა.

...14 საათია. ზუსტად 20 საათია, რაც სამაჩაბლოში ვარ. ყველა მასალა უკვე თითქმის მზადა მაქვს. ახლა რომ რედაქციაში ვიყო ჩემი მოპოვებული მასალების რედაქტირებისას გონებით დაახლოებით 100-120 წუთი კვლავ დავბრუნდებოდი სამაჩაბლოში და რეპორტაჟიც სტამბაში იქნებოდა...

ბედად ვერტმფრენი გამოჩნდა. პროკურორის — დათო კეკენაძის დახმარებით ვახერხებ გორამდე გადმოფრენას...

**ბესო მინდარაული,**
**ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი.**

**სამაჩაბლო, 31.01 — 1.02.91 წ.**

# ახალი ლექსები

## ბალათერ არაბული

### ბაბილონი ანუ რუსეთის იმპერიის აღსასრული

უკვე ბიბინებს დილა სისხამი
გადაპენტილი მკრთალი ნისლებით;
სხვათა გამრიგე
და გამკითხავი
სიმშვიდეს უკვე ვერ ეღირსები...

ცა ღუის,
როგორც მამლის ბიბილო,
სულს ლაფავს ღამე,
მზის სხივს უჩვევი, —
დაბზარული გაქვს უკვე, ბაბილონ,
სისხლით ნაგები გოდოლ-
ბურჯები...

დღეს შენი ენა
არვის არ ესმის —
შურისძიების ხე ნაყოფს ისხამს;
სად გაექცევი მახვილს ალესილს,
ანდა ამ ხალხის
ზიზღსა და რისხვას...

სივრცე — უსაზღვრო,
ცა — უნაპირო
უნდა გზარავდეს
და უნდა გძულდეს;
დამხობა გელის, ვაი, ბაბილონ,
ცრემლის,
წუხილის
და ცოდვის ბუდეს.

### ღამე სამაჩაბლოში

ღამის დუმილს
და ღამის საბურველს
განუკურნელი მოაქვს ნაღველი
და როგორ დადგეს გული საგულეს
ამ ღალატის და
მტრობის მნახველი...
კვლავ ბორგავს ქართლი,
ულვთოდ დაჭრილი,
სივრცეს კი ნისლის ბურუსი
აკრავს
და წამომდგარი ჯაყოს აჩრდილი
ჩვენ გვეცილება მიწას და სახლ-
კარს...

თუმც მოაქვს სევდა
ღამეს უშავესს,
წვება უკუნიც ირგვლივ ჭაობად,
ვერ ეღირსება უკვე დუშმანი
ჩვენს დაცემას და ხევისთაობას...
ჰოი, მამულო,
ბევრის ამტანი,
როგორ გაუძლებ დარდს
ამოდენას,
როს სისხლით
ღებავს თეთრი ზამთარი
შენს სულგრძელობას
და შენს მოთმენას...

ღამის დუმილს
და ღამის საბურველს
განუკურნელი მოაქვს ნაღველი
და როგორ დადგეს გული
საგულეს
ამ ღალატის და
მტრობის მნახველი...

### საქართველოს

ამ ცისქვეშეთში თუმც ვართ
ცოტანი,
დავბადებულვართ განა ლაჩრებად;
ფეხზე დამდგარა ათასი ცოტნე
შენი სიცოცხლის გადასარჩენად!..

ბინდით ავსილი დრო, ნისლიანი,
მზით განათებულ ახალ დროს'
ელის,
მოაქვთ დროშები გორგასლიანი,
გაღვიძებული ქართვლის
დროშები...

ერთად მომდგარა ამერ-იმერი,
(სულის ჭრილობას ჟამიც ვერ
კურნავს!)
ვინ თქვა სიკვდილი ქვეყნად
იმ ერის,
ვინც გამარჯვების რწმენით
შეკრულა?!..

დამსხვრეულია უკუნი ღამე?
(გეყო, მამულო, ბორკილის
ზიდვა!)
შენი აღდგომის დამდგარა ჟამი,
„ჰეი, ვინ მოდის მანდ
მომავლიდან!“

დაე, ამ ქვეყნად ყველამ იცოდეს:
დავბადებულვართ განა ლაჩრებად;
ყველა ქართველში იღვიძებს
ცოტნე
შენი სიცოცხლის გადასარჩენად!..

## მზია ჩხეტიანი

### სამი ფრაგმენტი პოემიდან „დავითი და კონსტანტინე“

ჭავლი, როგორც ორბის ბრჭყალი,
ჰკაწრავს ნაპირს, ლოკავს ტინებს,
თმაგაშლილი მორბის ქალი,
ხმობს დავითს და კონსტანტინეს...
ფიქრი ილტვის დროში, კრულში,
ცად ღრუბელი აიშლება,
თუ ურდოა მურვან ყრუსი?
რაც მან ჭირი მოგვისართა,
სად და ვისთან დავიჩივლო!
დედას სიმწრით ეწვის კალთა:
— კონსტანტინე!
— დავით, შვილო!
საქართველო, სვეგამწყრალო,
დგას ცეცხლში და სისხლის რუში,
ჯარი მოდგა,
როგორც მკალი
მუჰამადის, მურვან ყრუსი.
ჰგავს ღვთის რისხვას,
თავსდატეხილს,
გაგვწყრომია, ვაგლახ, ღმერთი!
მოსრა თურმე ქართლ-კახეთი;
მოსრა მესხეთ-ჯავახეთი.
დაგვიბნელა მზეც და ზეცაც,
ქარ-ცეცხლს მისცა ჩვენი მიწა,
თუ ქალ-ბალღის კალო ლეწა,
თუ ტაძრები შეგვიბილწა.
გადმოლახა მერე მთები,
ხევი, ვაკე, ფერდობი და
სისხლისნთხევით,
შხამის ნთხევით
იმერეთში შემოვიდა!

* * *

ანთებს ხსოვნა რა უკუნეთს!
ჭირთა თმენას,
დარდთა ლმობას!
არის მერვე საუკუნე,
სისხლიანი არაბობა!
ახლაც გულზე წამეკიდა
ის ტკივილი მწველი, ძველი
ახლა მოდგნენ არგვეთიდან
თითქოს ძმანი მხეიძენი!
მოდგნენ გმირი იმერები
ხმლის, ფარ-შუბის ჯახა-ჯუხით,
ომახიან სიმღერებით,
სისხლიანი ახალუხით.
ენაცვალოს ჩემი თავი
მკლავებს, მაჯებს
ნაბრძოლ თითებს,
არაბების მეწინავე
ლაშქარი რომ ამოწყვიტეს!

* * *

თუმც ფხიზლობს არაბთ
მხედრობა,
გზას სისხლის კვალიც ატყვია,
რას ჰქვია ვაჟის დედობა!
სიკვდილის შიში რას ჰქვია!
მონას ცოცხალი არც ჰქვია!
კაცი მოკვდება მაშინა,
შიშმა თუ ხელი დაჰკრია,
ვაგლახად თუ წაახდინა!
წუთია წუთისოფელი,
სახელის მეტი რა გვრჩება!
დე, ცალად დარჩეს სწორფერიც.
დღეს სიკვდილს ვაძლევთ
არჩევანს.
მტერო, რჯულძაღლო, ტიალო,
საით მოსულხარ, ვინა ხარ!
რასა ჰყეფ, რასა ხმიანობ!
ვის ჭერქვეშ ზიხარ ინახად!
არც სხვისას რას დავხარბდებით,
არც ჩვენსას დავთმობთ იოლად!
მოვკვდებით? —
თქვენი გვამებიც
გროვად წაიღოს რიონმა!

### სიმღერა

მზე რომ ამობრიალდება,
ჩვენს მთაწმინდას მიადგება,
ჩამოაფლეთს ნისლის ნიღაბს,
ზედ დაადგამს ოქროს ჯიღას.
აინთება ნარიყალა,
მეტეხი და ქართვლის დედა
და კვლავ ვიგრძნობ,
რად მიყვარან,
რა ღვთის მადლი დასდით ზედა
საქართველოს ციხე-ბურჯებს,
საფლავებს და სალოცავებს,
ან ქარი რა თრთოლვით ურბენს
ზარს მოჯარულ ქართლის მთა-
ველს
ქარს მათი ხმა,
სუნთქვა მოაქვს,
ვინც სამშობლო განადიდა,
დილაა თუ საღამოა
დიდგორიდან, მარაბდიდან!
ფრთებს ვშლი ბიჭი ნინველი და
ქართველობას შევძლებ, მგონი,
ვარ მუხრანის დიდველიდან
აფრენილი გეზელ ქორი
და ფრთიანი მინდა რაშიც,
გვერდით — ტოლიც შვიდიოდე,
ჩავუსაფრდე დუშმანს გზაში
ვიფრინდე და მივკროდე...
მზე რომ ამობრიალდება,
და მთაწმინდას მიადგება,
მიმოფანტავს ნისლის ფარას,
ძირს, კრწანისშიც ვაშლის კარავს,
მთებსაც შეხსნის ჩოხის ღილებს...
მზის ნათელში მოქუხს
მტკვარიც —
ტკბილქართულად მოღიღინე,
ტკბილ ქართულად მოუბარი.
იღიღინოს, იგალობოს
მტკვარს გაღმაც
ტკბილქართული სალაღობო
მარად, გმირმა ჩვენმა ხალხმა!

**ავტორის თხოვნით ჰონორარი გადაირიცხება სტიქიით დაზარალებული სვანური ოჯახების სამაჩაბლოში განსახლებისათვის გახსნილ ანგარიშზე.**

●

## ვაჟა ოთარაშვილი

### ლეხურის სათავისაკენ...

ქართულ ნასოფლარებზე
ჩამოსახლდნენ ოსები
და საყდრის ნანგრევებში
დაფრთხნენ ანგელოსები...
წინაპართა ნიშებო,
ბერო პაპავ, გამწყრალო,
ეხლა როგორ გიშველოთ,
ცხრაძმულავ და ცხრაწყაროვ?..

ქარი, როგორც ფრანგული,
სხვილოს ციხის კედელთან
რეკდა ხმაჩაკანგული,
თუმცა ბევრჯერ ეკვეთა
ქონგურებს და გალავანს,
ალყას მაინც არ ხსნიდა...
გველის თავის ქალადან
სისინებდა ყასიდად...

ამილახვრის ამალამ
თვალწინ ჩაიქვითინა...
მკითხა პაპის აჩრდილმა:
„ვისთვინ მოვკვდი,
ვისთვინა?“

ქართულ ნასოფლარებზე
მომღიმარი ოსები
და საყდრის ნანგრევებში
კვნესენ ანგელოსები...

●

## თინათინ მღვდლიაშვილი

### რუქა საქართველოსი, ალუბლისფერი...

შუაღამეა.
ალუბლისფერი მტანჯავს ტკივილი
და
დიდგორიდან მოტანილი
ყვავილებით
ვფარავ შენს სხეულს, მტრისგან
აჩეხილს.
ფარავნის ტბაში ირეკლება ჩემი
წუხილი,
ოშკის და ბანას მკლავს
მონატრება და
ქვემო ქართლის პურის ყანებს
შესეული
ყაყაჩოსავით მენთება სახე, ისე
მიყვარხარ.
შუაღამეა. ვიღაცას ალბათ,
ბროწეული შემოეჭყლიტა
ნატიფ თითებში და აჭარისწყლით
გაზავებული,
ოდნავ ფერმკრთალი და
გამჭვირვალე ტკბილი სითხე
გადაღვარა შენს ფაქიზ სხეულს
და
უნებლიეთ ალუბლისფრად
შეგაფერადა.
და ენკენისთვის მცხუნვარე
ღამეს,
მორჩილად წევხარ ჩემს ოთახში
დაჭრილი და ჩამოფლეთილი
და სატანისგან მიყენებულ ნატკენ
იარებს
ლიახვის მღვრიე და წაბილწული
ცრემლით იგრილებ...
ნუ გეშინია! მე გადავიცმევ
ჯაჭვის პერანგს
ახლადმოვლენილს რომ მაჩუქე
ქუთაისში ტაძრის მახლობლად და
მოგონებად გადაქცეული ასვენია
ძველისძველ სკივრში.
მე მოვიმარჯვებ უძლეველ
მახვილს,
მახვილს, რომელსაც აწერია
ჯადოსნური სიტყვა „სიმართლე“
და
ქრისტეს ჯვარით ავიჭრები
მესხეთის მთებში..
მე ბედაურის მაგივრობას გამიწევს
მტკვარი და
კუნთმაგარი, ყალყზე შემდგარი
მძიმე ტალღებით
შემომატარებს ძვირფას სამეფოს
და
„ვლადიკავკაზს“ შევალეწავ
სისხლიან ბორკილს!
ჩემო სამშობლოვ, მე მოგაგონებ
ძველ დიდებას, უძლეველ
წარსულს
და უფლის ნებით გაბრწყინებული
მზის ამოსვლამდე დაიბადები
ხელმეორედ თავისუფალი.
მე დაგიბრუნებ პარხალს და
ოლთისს,
ალავერდს, ლორეს, სოჭს და
ათინას და
თერგის წყალსაც ვეახლები ძველი
ვალის გასახსენებლად.

მე დაგიბრუნებ კახს და ბელაქანს,
არტაანს, ართვინს, არტანუჯს,
ოკდემს და
სტეფანწმინდას შევისვენებ
გადაქანცული.

მე შემოვალი უცხო ქსოვილს
ჰუჯაბს და ქურმუხს,
თეთნულდის თოვლით დაგიამებ
ყველა იარას და
ნაჭრილობევს გადაგიხვევ
ალაზნის ველით.
და მე ვიქნები ამაყი და
თავისუფალი!
მე შემოვივლი სენაკს, მარტვილს,
ბოლნისს, მესტიას და
ხორნაბუჯში თაფლის წმინდა
სანთლებს აგინთებ.

მე გადავუფრენ ჯავას, ჰერეთს,
ტაოს, აფხაზეთს და
უშბის წვერზე ჩამოვჯდები
გასაგრილებლად.

მე ვიბანავებ ტეხურის და ბზიფის
ტალღებში და
რქაწითელის მწიფე მარცვლებს
შემოვიხვევ ყელზე მძივებად.
ცაში არწივის ზვიად მართვეს
დავიმეგობრებ და
ხევსურეთის სილაჟვარდეს
ჩამოვემსხვრევი წვიმის წვეთებად.
ო, საქართველოვ,
ალუბლისფერი ხარ საოცრება და
ჩვენ ვერავინ და ვერასდროს ვერ
დაგვაშორებს.
შეიბ მახვილი, ამორძალო, მზის
ამოსვლამდე!
მზის ამოსვლამდე, მაცხოვარო,
მზის ამოსვლამდე...
ო, დამაცადე, დავტკბე ღამის
თავისუფლებით.

უკვე თენდება.
ალუბლისფერი მტანჯავს ტკივილი
და
დიდგორიდან მოტანილი
ყვავილებით
ვფარავ შენს სხეულს
ნადავითარი ხმლების
ჩრდილქვეშ რომ მოვაგროვე...

●

## იმედი ჯახუა

### გმირ ლიტველ ხალხს

პირშეუკრავით ჯერაც ჭრილობით,
ხელში სანთლით და დროშით
ქართულით,
ჩვენც თქვენთანა ვართ ძმებო,
გმირებო,
ერთ გველეშაპთან ომში
ჩართული!

სისხლის ღრუბელი უფრო
მძიმდება,
მზე სიმართლისა მაინც ამოდის!
ის მხოლოდ წმინდა სისხლის
ზღვიდან ამობრწყინდება.
თავისუფლება არ მოსულა სხვა
გზით აროდეს!
უკანასკნელი მოიკრიბა ძალა
სატანამ,
მყრალმა ურჩხულმა მოიქნია
კუდი მსახვრალი!
ძმის და მოყვარის, ღმერთმა
უწყის, ვიცით გატანა!
გაუბზარავი ერთობაა ჩვენი ფარ-
ხმალი!

იდექით მხნედ და შეურყევლად —
სიმართლით თქვენით და
თავგანწირვით!
სიმაღლეს თვისას ვით შეელევა
თავისუფლების ლაღი არწივი!

ერთურთს ემთხვივნენ ცაში
გმირთა ჩვენთა სულები!
დიდება — მამულს ვინც კვლავ
მკერდით აეფარება!
მამაცო ძმებო!
ჩვენც თქვენთან ვართ
შეფიცულები!
მაშ, გაუმარჯოს ჩვენთა მტერთა
დასამარებას!

**15 იანვარი, 1991 წელი.**

აღორძინება არგო

გვერდის სპონსორები არიან საქველმოქმედო ასოციაცია „აღორძინება" და ამავე ასოციაციის ფირმა „არგო".

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფოტოაპარატით რესპუბლიკაში



# დიდთოვლობა



და მერე როგორი! გურიის უხუცესებს ეს იშვიათ მოვლენად მიაჩნიათ აქაურობისათვის. განა ხუმრობა საქმეა მეტრი, შეიძლება უფრო მეტი სისქის თოვლის საფარით დაიფარა ოზურგეთის რაიონის სოფლები და გზები.

მშრომელები არ ეპუებიან დიდთოვლობას: თოვლს ბერტყავენ სუბტროპიკული ხეებიდან, წმენდენ გზებს...

**სურათებზე:** ასე გამოიყურება დღეს სოფელი ძიმითი; ოზურგეთის რაიონის გზებზე.

**გიორგი შარაშენიძისა და ზია სამსონიას ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).**

## ბოროტსა სძლია კეთილმან...



ჩვენ გვსურს ხალხის სამსჯავროზე გამოვიტანოთ ერთიანი საქართველოს სახელმწიფო დროშის ესკიზი, რომლის დედააზრია „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია".

შემოთავაზებული დროშის ესკიზზე გამოხატულია ბოროტისა და კეთილის მუდმივი ურთიერთბრძოლა, სადაც კეთილი ძლევს ბოროტს. ესკიზზე შავი ფერის წრე დაყოფილია ნაწილებად, თეთრი ფერის ჯვრით, რომლის ბოლოები მკვეთრი გადასვლით შვინდისფერში, აგრძელებს ჯვრის ფორმას დროშის თეთრ ფონზე.

ძველი ქართული მსოფლმხედველობით, სამყარო იყო დაყოფილი სამ ტოლ ნაწილად, რომელსაც თავისი შესაფერისი ფერი ჰქონდა.

პირველი — ზესკნელი, უმაღლესი, თეთრი: მარად ნათელი ღვთაებრივი.

მეორე — სკნელი, ძოწისფერ-შინდისფერი, ე. ი. ბრძოლის სიცოცხლისუნარიანობის განმსაზღვრელი.

მესამე — ქვესკნელი, შავი, ბოროტ არსთა სამყოფელი.

დროშის ესკიზზე, თეთრი ქართული ჯვარი შავ წრეში ნიშნავს სიბნელის ნათელით დამარცხებას, ზესკნელის გამარჯვებას ქვესკნელზე, ანუ „ბოროტსა სძლია კეთილმან". ყოველივე ეს იკითხება როგორც ფარი. შინდისფერი ჯვარი, რომლის საწყისი თეთრი ქართული ჯვარია და თეთრ ფონზე გრძელდება უსასრულობაში („არსება მისი გრძელია") იკითხება როგორც მახვილი.

**თეიმურაზ ფაშტიანი,**
**არქიტექტორი.**

# განცხადება

**თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მიმღები კომისია აცხადებს,** რომ 1991 წელს მისაღები გამოცდა **ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერაში)** სპეციალობის მიხედვით ჩატარდება შემდეგნაირად:

სპეციალობებზე, სადაც ქართული ენა და ლიტერატურა (წერა) მაპროფილებელია, საგამოცდო ბილეთში შევა სამი საკითხი: ეპიკური ჟანრის ნაწარმოების ან მისი რომელიმე ეპიზოდის შინაარსი, პოეტური ნაწარმოების ანალიზი და ლიტერატურული მასალიდან კითხვის იმგვარად დასმა, რომ მსჯელობისას გამოვლინდეს აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი.

**საგამოცდო ბილეთის ნიმუში**

1. ნაწყვეტი ილია ჭავჭავაძის მოთხრობიდან „ოთარაანთ ქვრივი". „პილპილმოყრილი მადლი" (შინაარსი).
2. გალაკტიონ ტაბიძე — „მშობლიურო ჩემო მიწავ" (ანალიზი).
3. რისთვის ეწამა შუშანიკი?

სპეციალობებზე, სადაც ქართული ენა და ლიტერატურა არ არის მაპროფილებელი, აბიტურიენტებს ევალებათ საპროგრამო ნაწარმოების შინაარსის გადმოცემა. ამასთან შეფასებისას განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა აგრეთვე აბიტურიენტის წერის კულტურას.

აბიტურიენტებს შეუძლიათ მიიღონ კონსულტაციები ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრებზე ყოველ ხუთშაბათს დილის 10 საათიდან.

## გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელის" რედაქციას

თქვენი გაზეთის 26 იანვრის ნომერში გამოქვეყნდა წერილი — „ხოშ გელდი"! ძმა ხარ, ჩემო თათარო!" დიდი მღელვარებით წავიკითხე. მადლობას მოგახსენებთ ამისათვის, პირველ რიგში კი სტატიის ავტორს ჯაბა ქურციკიძეს, აგრეთვე თქვენს კოლექტივს. სიმართლე გითხრათ, მღელვარებისაგან სრულად არც შემიძლია გადმოვცე ჩემი გრძნობები, მაგრამ მინდა ვთქვა ერთი: ძვირფასო დებო და ძმებო! მოდით ერთად ვიყოთ ყოველთვის, გავიზიაროთ ერთმანეთის სიხარული და მწუხარება. მხოლოდ ასეთი ერთიანობით დავამარცხებთ ბოროტებას.

**ისლამ ალიევი,**
**გაზეთ „გურჯუსტანის" პასუხისმგებელი მდივანი.**

# ვითარება ცხინვალში

3 თებერვლის საღამოდან 4 თებერვლის შუადღემდე ქალაქ ცხინვალში სიმშვიდე იყო. არ ყოფილა სროლა და ხანძრები.

3 თებერვალს ღამის 3 საათზე ზნაურის რაიონის სოფელ ოქონაში ექსტრემისტები თავს დაესხნენ და ცეცხლი დაუშინეს ჯავშანტრანსპორტიორს, რომელშიც იმყოფებოდნენ საქართველოს მილიციისა და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების წარმომადგენლები. საპასუხო სროლის შემდეგ ექსტრემისტები მიიმალნენ. 4 თებერვალს ღამით სოფელ თამარაშენში დაიწვა ერთი საცხოვრებელი სახლი.

**საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი.**

## მხოლოდ გადარიცხვით!

შეგვიძლია დაგეხმაროთ თქვენთვის საჭირო ნებისმიერი მასალების, ნედლეულის, შინაური ცხოველების საკვების და ყველა სხვა პროდუქციის შეძენაში ნებისმიერი რაოდენობით.

ამისათვის საკმარისია, წარმოადგინოთ განაცხადი (ნაბეჭდი) დაწესებულების სრული დასახელების, იურიდიული და ფაქტიური მისამართის, ხელმძღვანელის ვინაობის, საჭირო პროდუქციის რაოდენობის და მაქსიმალური ფასის მითითებით მისამართზე: ქ.თბილისი, ძმ.ზუბალაშვილების 5 (ყოფილი ათარბეგოვის).

ტელეფონი: 99-01-01 „ასკო"

თუ თქვენს ოჯახში ან ნაცნობების წრეში არის საქმიანი ადამიანი, აუცილებლად გააცანით ეს განცხადება.

ნუ გაუშვებთ შანსს.

იგი გახდება მათი წარმატების საწინდარი. მათი კეთილდღეობა ხომ თქვენი კეთილდღეობაცაა.

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი"

## „ქართული სიმღერა და ქორეოგრაფია — 91" კონკურსის მონაწილეთა საყურადღებოდ:

**ზონალური კონკურსი ჩატარდება**

მონაწილეთათვის აღმოსავლეთ საქართველოში — 9 თებერვალს, თბილისელთათვის — 10 თებერვალს.

დასაწყისი — 16 საათზე.

შინაგან საქმეთა სამინისტროს კულტურის სახლში (ბესიკის ქ. № 14).

მონაწილეთათვის დასავლეთ საქართველოდან — ქ. ქუთაისში, ოპერის თეატრის შენობაში.

15-16 თებერვალს, დასაწყისი 17 საათზე.

**კონკურსის ორგკომიტეტი.**

## ვიზების სათარგმნელად და ანკეტების შესავსებად

გთხოვთ მიმართოთ ფირმა „ზევსს", რომლის ადგილსამყოფელიც გადატანილია პეტრიაშვილის ჩიხიდან პეტრიაშვილის ქ. № 3-ში. ვიზების თარგმნა ხდება ერთ დღეში. ფირმა „ზევსი" თქვენ მიგიღებთ ყოველდღე, დასვენების დღეების ჩათვლით, 9-დან 21 საათამდე.

გთხოვთ გვეწვიოთ.

ახალგაზრდა ივერიელი

Общественно - политическая молодежная газета «Ахалгазрда Ивериели»

ტელეფონები: მისადები — 98-97-81; პასუხისმგებელი მდივანი — 98-81-56; წერილების განყოფილება — 99-00-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს" სტამბა, თბილისი, მ. კოსტავას 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ბ-შარაულის 29.

№ 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15

Наш индекс 66400

რედაქტორი მერაბ გალაჩაშვილი

რედაქციის მისამართია ქ. თბილისი — 380096. მ. კოსტავას ქ. № 14.